გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№33 (928) 4 - 6 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„აკვიატებული იდეების მქონე თეა წულუკიანი თანამდებობიდან უნდა გადადგეს!“

„სახელმწიფო პროკურატურის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალის წაშლაში ღიად ჩაერთო!“

რატომ ჩაიშალა შალვა თათუხაშვილის საქმის განხილვა პარლამენტში

რატომ არ უნდა სარგებლობდნენ დეპუტატები აბსოლუტური იმუნიტეტით

გვ. 3

პარლამენტი ყაჩაღებისა და ბანდიტების თავშესაფარია

„ზოგჯერ აქ გვიწევს დარჩენა და ყუთებში ვიძინებთ, მეშინია, ჩემი და-ძმა არ გაიყინოს“

როგორ იბრძვიან გადარჩენისთვის და რაზე ოცნებობენ მანანწალა ბავშვები

ბიზნესქაოსი „ფუდმარტში“

როგორ დაისაკუთრა „პოპული“ არჩილ გეგენავამ, რა დანაშაულებრივი ნიშნები იკვეთება „ფუდმარტად“ რებრენდინგის პროცესში და რას ითხოვს სუპერმარკეტების ქსელის დამფუძნებელი ევგენი ფიჩხაია სასამართლოსგან?

გვ. 9

მთავრობამ „გადაგვაგდო“!

რეპორტაჟი ჯანდაცვის სამინისტროს მისალებიდან

რისთვის ემზადებიან ნაციონალები, ანუ მაიმუნისა და ყუმბარის პრინციპი მუშაობს

გიორგი იაშვილი

თუ აკვირდებით, ბოლო დროს, პარლამენტში სასესიო კვირა ისე არ ჩაივლის, გვარიანი გაწევ-გამოწევა არ მოხდეს. საპარლამენტო უმცირესობა მაქსიმალურად ცდილობს, უმრავლესობის იმ წევრებს „შეუჩხიკინოს“, რომლებსაც ადვილად „ააგდებს“, მერე კი ამბების განხილვა და თითისგაშვერა მიდის — ხედავთ, ვინ აირჩიეთ პარლამენტშიო. ყველაფერთან ერთად, ნაციონალები იმ მოკლე პოლიტიკური მეხსიერების იმედად არიან, რომელიც, ზოგადად, ქართველ ამომრჩეველს ახასიათებს, თორემ კარგად რომ დავფიქრდეთ, წინა მოწვევის პარლამენტშიც არ ხდებოდა ნაკლები და მაშინდელ უმრავლესობას გასატანი ხან მუშტით გაჰქონდა, ხან კიდევ გინებით.

კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია — თუ აკვირდებით, საპარლამენტო უმცირესობა აქცენტს იმ დეპუტატებზე აკეთებს, რომლებიც პოლიტიკოსობაზე თავს არ დებენ. მაგალითად, რესპუბლიკური პარტიის წევრებმა იციან, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა და ისევ პოლიტიკაში იყვნენ, ამიტომ არც მწვადს წვავენ და არც შამფურს, რა იცი, ვისთან და როგორ მოგიწევს საარჩევნოდ გაერთიანება, ამიტომაცაა, დავით უსუფაშვილმა რომ დაივიწყა თავის დროზე სოზარ სუბარისთვის ნათქვამი „ნაძირალა“ და არც სუბარი იხსენებს, პოლიტიკაა ასეთი. დაივიწყებდა იგივეს თუნდაც სოსო ჯაჭვლიანი? — არა და იმიტომ არა, რომ პოლიტიკოსი არ არის, იგი ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანია, რომელიც ამბობს იმას, რასაც ფიქრობს ანუ, რეალურად, ამომრჩევლის პოზიციას აფიქსირებს და, როგორც ხალხშია დუღილის ტემპერატურა აწეული დაპირებული სამართლიანობის აღდგენის გადავადებითა თუ მივიწყებით, ისევე დუღს ჯაჭვლიანის გულიცა და გონებაც.

ნერვებმა გიორგი გაჩეჩილაძესაც უმტყუნა. არც ისაა საპარლამენტო ცხოვრებაში გამოცდილი პოლიტიკოსი და, როცა ველარ მოითმინა ის, რასაც რიგითი მოქალაქე ვერ ითმენს, სათქმელი ბოლომდე თქვა. გვერწმუნეთ, გაჩეჩილაძეს რომ სცოდნოდა, კამერები ყველაფერს არ იღებდნენ, გვარიან გინებასაც არ დაამადლიდა. რამდენიმე კვირის წინ ნაციონალებმა კარგად ითამაშეს გიორგი ცაგარეიშვილის ნერვებზეც და ამ ემოციურმა კაცმა ბოთლიც გაისროლა, იგინა კიდეც და თავს დავდებ, უკან სხვა დროსაც არ დაიხევს, იმიტომ კი არა, ნერვებს ვერ თოკავს, არამედ იმიტომ, რომ მასაც აწუხებს მიმდინარე პროცესები და რადგან ამაზე პარტიის შიგნით ხმამაღლა ვერ საუბრობს, ემოციებისგან დაცლას პარლამენტში, ნაციონალებთან კამათში ცდილობს.

უფრო ადრე იყო ლევან იზორიას „აგდების“ მცდელობა და მანაც ვერ მოითმინა. შთაბეჭდილება რჩება, ნაციონალური მოძრაობის წევრებს შეგნებულად მიჰყავთ ყველაფერი ერთ დიდ ჩხუბამდე, რადგან მერე ნუგზარ ნიკლაურივითა თუ ჩიორა თაქთაქიშვილივით ევროპელებს დალურჯებული ადგილები ანახონ და დაანამუსონ, ხედავთ, ვის ხელში ჩაგვყარეთო.

წიკლაური ვახსენეთ და, ისიც სათქმელია, რომ თურმე ბოცოს უკვე თავადაც ეპარება ეჭვი, ეს ყველაფერი ჩემივე თანაგუნდელებმა ხომ არ მომიწყვესო. ხვდება ნუგზარბატონი, რომ რეალურად, რვა კაცის გამლახავი არ იყო, ხოლო ის, რაც ელექტროშოკად მოეჩვენა და გაასაღა, შესაძლოა უწყინარი ჩქმეტა ყოფილიყო. იმასაც ხვდება წიკლაური, რომ მომხდურები მეზობლის ნასროლი კარტოფილის გამო არ გაიქცეოდნენ და მაშინ რა გამოდის?! ვიღაცას მისი ცემა კი არა, დალურჯებული თვალი სჭირდებოდა და მიიღო კიდეც.

მიმდინარე მოვლენები აშკარად საპარლამენტო უმცირესობის წისქვილზე ასხამს წყალს და, ჯერჯერობით, კოალიციაში შემავალი პარტიები ვერაფერს ახერხებენ. დავით უსუფაშვილმა კი დაიმუქრა, ვინც პარლამენტში მუშტი-კრივს გამართავს, პასუხს აგებსო, მაგრამ ამ დაპირების ტყვედ იქცა. ნაციონალები ჯიუტად განაგრძობენ პროვოკაციებს და ცეცხლზე იმ საწვავს ასხამენ, რომლის ერთი ლარით გაიაფებასაც გვპირდებოდა ამჟამინდელი ხელისუფლება, საშველი კი ვერ დააყენა. ნაციონალები აქტიურობენ სოციალურ ქსელებშიც მაშინ, როცა უმრავლესობა სოცქსელებს დიდ ყურადღებას არ უთმობს. არადა, ახალგაზრდობა სწორედ ინტერნეტსაა მიჯაჭვული და ძირითად ინფორმაციას იქიდან იგებს.

სხვათა შორის, ყბადაღებული საპარლამენტო იმუნიტეტის კანონპროექტს კულუარებში „ქართული ოცნების“ წევრებიც იწუნებენ. ერთ-ერთმა პარლამენტარმა ჩვენთან პრივატულ საუბარში თქვა, არ ვამბობ, რომ როლანდ ახალაია დამნაშავე არ არის, მაგრამ ერთი კაცის გამო კანონის შეცვლას დიქტატისკენ მივყავართ, რადგან ნებისმიერ თემაზე საკუთარი აზრი თუ გამოვთქვი და ეს ვინმეს არ მოეწონა, ზემოთ დამიბარებენ და პროკურატურა დამაშინებსო. ამ პარლამენტარმა ისიც თქვა, ყველა წევრს მცირე თუ დიდი ბიზნესი აქვს, ეს ყველამ იცის და შესაბამისად, პროკურატურასა თუ ფინანსურს ადვილად შეუძლია დაგარწმუნოს იმაში, რაც შენ გგონია, რომ ცუდიაო. არის ამ სიტყვებში ლოგიკა, მაგრამ ამ თემაზე ხმამაღლა საუბარს ისინი თუ გაბედავენ, ვისაც მომავალ პარლამენტში არც მოხვედრის იმედი აქვს და არც ამის ამბიცია. ისინი ცდილობენ, ეს 4 წელი მაქსიმალურად გამოიყენონ იმისთვის, შემდეგ ვინმე რომ ჰკითხავს, რას აკეთებდითო, სათქმელი ჰქონდეთ. ბედით თუ უბედობით, ასეთი პარლამენტარი დღეს ძალიან ბევრია და თუ ერთ მშვენიერ დღეს ყველამ ერთად ამოიღო ხმა, აქეთ კოალიციის ერთობას გაუჩნდება დიდი ბზარი, იქეთ კიდევ ნაციონალური მოძრაობის წევრებს არ ასცდებათ წიკლაურის მაკიაჟით სიარული.

წინ კი არჩევნებია. ხელისუფლება გვიმტკიცებს, იმ გველეშაპს, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია, სამი თავი ჰქონდა, ორი მოვჭერით და მესამესაც თუ მოგვაჭრევინებთ, სიკეთეს მერე იგრძნობთო. სამართლიანობის აღდგენას დანატრებულ ამომრჩეველს კი, თავის მოჭრის ნაცვლად, ის სჭირდება, უმრავლესობამ უმცირესობას შეუძახოს — „ნუ ბლატაობთ, თქვე ჩმორებო“, მაგრამ ამას რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები და კონსერვატორები არასოდეს იზამენ. შესაბამისად, დარჩნენ ის პარლამენტარები, რომლებსაც პოლიტიკური ამბიციები არ აქვთ და იმას ამბობენ, რასაც ფიქრობენ. ეს ყველაფერი მაიმუნის ხელში მიცემულ ყუმბარას ჰგავს, როცა არ იცი, როდის გამოაძრობს რგოლს მაიმუნი და როდის აფეთქდება. ვინ არის ამ შემთხვევაში მაიმუნი და ვინ ყუმბარა, თავად განსაჯეთ.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემთხვევაში სტუდენტები სახელმწიფო გრანტს მიიღებენ

მთავრობის დადგენილებით, სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებენ სტუდენტები, რომლებიც არაუგვიანეს 2014 წლის საგაზაფხულო გაწვევამდე საკუთარი სურვილით გაივლიან სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფო გრანტით ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება იმ სტუდენტებს შეეხება, რომლებმაც 2012 და 2013 წლებში ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები, გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ჩაირიცხნენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და სახელმწიფო სასწავლო გრანტი ვერ ან ნაწილობრივ მოიპოვეს. სამხედრო სავალდებულო სამსახურგავლილი სტუდენტების დაფინანსების წესი და პირობები საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება. სტუდენტის მიმართ ამ დადგენილებით გათვალისწინებული პრივილეგიები არ გავრცელდება, თუ სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა მის ამოწურვამდე, სტუდენტის მიერ ან სტუდენტის სამხედრო სამსახურში გაწვევის შემდეგ, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობების წარმოქმნისას შეწყდება.

პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი დადგენილება მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა.

„პირველი“

შსს-მ „ქართული ოცნების“ ოფისთან მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყო

3 აპრილს, „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისთან საპროტესტო აქცია მოაწყვეს რუსთავი-თბილისის სამარშრუტი ტაქსების მძღოლებმა. მიმდებარე ტერიტორიაზე, ოფისის შესასვლელთან საპატრულო პოლიციაც იყო მობილიზებული, რადგან აქციის მონაწილეები პარტიის წევრებთან შეხვედრას ითხოვდნენ. მთავარი მოთხოვნა კი ისაა, გაუქმდეს მგზავრთა გადაყვანაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგები, რადგან კონკურსის შედეგად გამარჯვებული კომპანია მგზავრებს საკუთარი სამარშრუტო ტაქსებით უნდა მოემსახუროს. მძღოლები გამარჯვებულ კომპანია „ინტერტრანსს“ კახა კალაძის სახელს უკავშირებენ.

„ქალაქის ხელმძღვანელობამ შეგვიყვანა შეცდომაში, მანქანები გამოგვაცვლევინეს, გვაყიდვინეს 2000 წლის შემდეგ გამოშვებული მანქანები ე.წ. სპრინტერები, რომლის საბაზრო ფასი 25 000 დოლარიდან იწყება და ახლა გვეუბნებიან, ეს მანქანები კომფორტული არ არისო. ბანკებიდან ვალი გამოვიტანეთ. ახლა რაღა ვქნათ, არ ვიცით“, — აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

პარტიის ცენტრალურ ოფისთან ვითარება დაიძაბა, თუმცა რამდენიმე წუთში პოლიციამ განმუხტა, ინციდენტი კი მაინც მოხდა — ერთ-ერთმა მძღოლმა, შმაგი მიქელაძემ თავის დაწვა სცადა. **„მოვითხოვთ, ტენდერი მინიმუმ ორი წლით გადაიდოს. გვართმევენ ქონებას, გვტოვებენ ლუკმაპურის გარეშე. თუ ეს ტენდერი მაინც არ გადაიდება და ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, თავსაც დავიწვავთ, „მარშუტკებსაც“ დავწვავთ, რომელსაც შემოიყვანენ და უარესსაც გავაკეთებთ“,** — განაცხადა შმაგი მიქელაძემ.

სამართალდამცავებმა „ქართული ოცნების“ ოფისთან მიმდინარე აქციაზე მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას ითვალისწინებს. საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის განყოფილება იძიებს.

მძღოლები კი იმ შემთხვევაში, თუ მათ მოთხოვნებს ხელისუფლება არ გაითვალისწინებს, პარტიის ცენტრალური ოფისის წინ კარვების გაშლასა და შიმშილობის დაწყებას აპირებენ.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

პროკურატურა ობიექტური მტკიცებულებების მოპოვებას სააკაშვილის დაკითხვის გარეშე შეეცდება

მთავარი პროკურორის მოადგილის, ირაკლი შოთაძის განაცხადებით, გამოძიება ყველა იმ საქმეზე, რომლებზეც კითხვების დასმა მიხეილ სააკაშვილისთვის იგეგმებოდა, ექსპრეზიდენტის დაკითხვის გარეშე გაგრძელდება: **„ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა არ შეასრულა მოქალაქეობრივი ვალი, რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, არ გამოცხადდა დაკითხვაზე, მიუხედავად იმისა, რომ მას ჩვენ შევთავაზეთ დისტანციური წესით დაკითხვა. შესაბამისად, გამოძიება გაგრძელდება მიხეილ სააკაშვილის დაკითხვის გარეშე და ჩვენ შევეცდებით, მისი დაკითხვის გარეშე მოვიპოვოთ ის მტკიცებულებები, რომელიც საკმარისი იქნება, რათა ყველა ჩამოთვლილ საქმეზე დავადგინოთ ობიექტური მტკიცებულებები“.**

პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილი დაკითხვაზე 27 მარტს დაიბარა, თუმცა ექსპრეზიდენტი არ გამოცხადდა. მას დისტანციური წესით დაკითხვაც შესთავაზეს, რაზეც ასევე უარი განაცხადა. საგამოძიებო ორგანოს სააკაშვილთან კითხვები ათ საქმესთან დაკავშირებით აქვს.

„პირველი“

„სახელმწიფო პროკურატურის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალის წაშლაში ღიად ჩაერთო!“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

რატომ ჩაიშალა შალვა თათუხაშვილის საქმის განხილვა პარლამენტში

შალვა თათუხაშვილის საქმე პროკურატურას დამოკლეს მახვილად ექცა და როგორც პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, იძულებული გახდა, თავისმართლების რეჟიმში ჩამდგარიყო. ამის ნაწილი იყო ჯერ შალვა თათუხაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარკვეული გარემოებების, მათ შორის ვიდეოჩანაწერების გასაჯაროება, შემდეგ კი მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის, ირაკლი შოთაძის პარლამენტში მისვლა. ორივე მცდელობა პროკურატურისთვის აშკარად უშედეგოდ დასრულდა — საზოგადოებაში მეტი კითხვა გაჩნდა ვიდეოჩანაწერების გავრცელებისა და მას შემდეგ, რაც პროკურორმა კოკა კაციტაძემ განაცხადა: **„2014 წლის 24 თებერვალს, შალვა თათუხაშვილს პროკურატურიდან ტელეფონზე დაუკავშირდა გამომძიებელი და განუმარტა, რომ მოწმის სახით უნდა დაკითხულიყო ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე, ვინაიდან იმ დროისთვის მას შს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აქტიურ ღონისძიებათა სამმართველოს (სპეცრაზმი) უფროსის ყოფილი მოადგილის თანამდებობა ეკავა. დაკითხვა 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ორი ადვოკატის თანდასწრებით თათუხაშვილმა წვრილად აღწერა ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის ჩატარების დეტალები და კონსტიტუციური უსაფრთხოების ყოფილი დირექტორი დათა ახალაია მძიმე დანაშაულში ამხილა. თათუხაშვილი ამბობდა, რომ ჩვენების გამო შესაძლებელი იყო, ახალაიების ოჯახსა და გარემოცვას მისთვის საფრთხე შეექმნა. მან დაცვის პროგრამაში ჩართვა, სახელისა და გვარის შეცვლა და, შესაბამისად, ახალი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოითხოვა. პროკურატურა დათანხმდა და გამოუყო კონსპირაციული საცხოვრებელი ფართი, დაუნიშნა დაცვა. 25 თებერვალს, თათუხაშვილმა პირადი ნივთების აღების მიზნით, დაცვას საცხოვრებელ სახლში მიყვანა მოსთხოვა, საიდანაც გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა. მედიაში გავრცელდა მოწმე თათუხაშვილის მამის, გოგი თათუხაშვილის განცხადება, რომ მისი შვილი პროკურატურას ჰყავდა გატაცებული და იყო დაკარგული, თუმცა ოჯახის არც ერთ წევრს შალვა თათუხაშვილის ძებნაზე სამართალდამცავი უწყებების დაინტერესების მიუხედავად, არ მიუმართავს. 18 მარტს, ისანი-სამგორის პოლიციაში ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ღამის კლუბიდან შევიდა შეტყობინება, რომ ორი ნასვამი ახალგაზრდა არაადეკვატურად იქცეოდა და პერსონალს აწუხებდა. ერთ-ერთი პირი შალვა თათუხაშვილი აღმოჩნდა. იგი დაუყოვნებლივ ქალაქის პროკურატურაში გადაიყვანეს. ვიდეოთვალიდან და შენობის შიგნით დამონტაჟებული კამერიდან ამოღებულ ფირებზე ჩანს, რომ თათუხაშვილი გადაადგილდებოდა მარტო, ზეწოლის გარეშე. მან განაცხადა, რომ ახალაიების ოჯახის მხრიდან მოსალოდნელი ანგარიშსწორების შიშის გამო, იმალებოდა ტყეში. დაკითხვის დასრულების შემდეგ მოწმემ უვნებელმა დატოვა შენობა. თათუხაშვილის ოჯახის ადვოკატები აცხადებენ, თითქოს სწორედ ამ დღეს აწამეს იგი. ვიდეოფირზე დაფიქსირებული ფაქტი კი საპირისპიროს ადასტურებს... 21 მარტს, თათუხაშვილი მიდის თელეთის პოლიციის რაიონულ განყოფილებაში და აცხადებს, რომ დაკარგა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა, რასაც ადასტურებს თათუხაშვილის მიერ დაწერილი განცხადებაც. მისი გარდაცვალების მეორე დღეს მოწმე თათუხაშვილის მამა სოციალური ქსელით აქვეყნებს სწორედ ამ დაკარგული მოწმობის ფოტოს, რასაც ტირაჟირებას უკეთებს ახალაიას მეუღლე“.**

თათუხაშვილის ოჯახმა ჩანაწერები ეჭვქვეშ დააყენა. განაცხადეს, რომ შალვა ჩვენების მიცემის დროს ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა: **„ვიდეოში იგი არ ჰგავდა შალვას. აშკარად ზეწოლისა და ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იმყოფებოდა“**. ოჯახის წევრებმა ისიც გაიხსენეს, შალვამ სიფრთხილისკენ მოუწოდა: **„გვითხრა:, ფრთხილად ვიყოთ, ყველას გვემუქრებიან, ბავშვებს გაუფრთხილდით. მე შეიძლება დამიჭირონ, მითხრეს, ციხეში გაიგებ, შენი ოჯახის წევრები როგორ იღუპებიან ან რაღაც მოსდითო“.**

2 აპრილს, დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს თათუხაშვილის საქმეზე საგანგებო საპარლამენტო კომისიის შექმნის ინიციატივას. არადა, ეს ლოგიკური და სასურველიც იქნებოდა, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა საქმეს იძიებს უწყება, რომელსაც თათუხაშვილის გარდაცვალებაში ოჯახი ადანაშაულებს.

არც შოთაძის „საპარლამენტო ვოიაჟი“ გამოდგა ეფექტური. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის საგანგებო სხდომაზე ისაუბრა, რომ შალვა თათუხაშვილზე ზეწოლა არავის მოუხდენია, თუმცა აღნიშნა, რომ გამოძიების ერთ-ერთი მიზანი იმის დადგენაა, პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე უკანონობას. მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს, ნაციონალებმა კითხვები დააყარეს. დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა ჰკითხა. როგორ მოახერხა შალვამ ფანჯრიდან გაქცევა, როცა სახლის ყველა ფანჯარას გისოსი აქვს? **„ჩვენ არ ჩაგვიტარებია საგამოძიებო ექსპერიმენტი მისი ჩვენების გადასამოწმებლად. მის ჩვენებას დავეყრდენით“,** — შოთაძის ამ პასუხს, ნაციონალების აღშფოთება მოყვა:

„როდის ამბობთ მართალს ახლა თუ გუშინ, როდესაც ტელევიზიით განაცხადეთ, ჩავატარეთ გამოძიება და ის გადაიპარა ფანჯრიდანო. ერთად წავიდეთ იმ სახლში და ბატონი შოთაძე იმ ფანჯრებიდან გადაძვრეს“, — განაცხადა ნადირაშვილმა, რის შემდეგაც, მას კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ კორექტული კითხვების დასმისკენ მოუწოდა. საბოლოოდ, დარბაზში აჟიოტაჟი ატყდა და ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების საქმის განხილვა შეწყდა. **„სხდომის გაგრძელებას აზრი არ აქვს, ამის საშუალებას ოპონენტები არ გვაძლევენ“,** — განაცხადა ეკა ბესელიამ და დასძინა, რომ კომიტეტი იმსჯელებს, რა ფორმატში გაგრძელდება აღნიშნული საქმის მოსმენა.

„მიმაჩნია, რომ ამ ფორმატში კომიტეტის სხდომის გაგრძელება, შეუძლებელია“, — განაცხადა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძემ; **„ქვენ რეალურად სიმართლე არ გაინტერესებთ, მარტო სპეკულირებთ. თუ გაინტერესებთ პასუხები, მობრძანდით პროკურატურაში და ყველას გიპასუხებთ“,** — ამ სიტყვების ავტორი კი, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილეა.

კომიტეტის ჩაშლილი სხდომის დასასრულს, დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი საზოგადოებას დაპირდა, რომ ნაციონალური მოძრაობა ერთიანად გამოაქვეყნებს ყველა კითხვას, რომელსაც ირაკლი შოთაძემ ვერ უპასუხა. **„არ დამაცადეთ“,** — უპასუხა შოთაძემ ოპონენტებს. არ დასცალდა თუ შესაბამისი პასუხები არ ჰქონდა, დრო გვიჩვენებს მაშინ, როცა ბადაშვილის უწყებას რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა, მათ შორის: რატომ აჩვენეს არასრული ვიდეო, რომელზეც არ ჩანს თარიღი? რატომ არ ჩანს ვიდეოში, რა ხდებოდა დაკითხვაზე, როდესაც ადვოკატებს დაატოვებინეს პროცესი? რატომ იმალებიან დღეს ადვოკატები, რომლებიც დაკითხვას ესწრებოდნენ? როგორ და რომელი ფანჯრიდან გადახტა მოწმე, როცა სახლში ფანჯრებზე გისოსებია? ვინ ახორციელებდა დაცვას? თუ ძებნა არ გამოცხადდა, რატომ ეძებდნენ? თუ სპეციალური დაცვის ქვეშ იყო და ახალაიების ეშინოდა, რატომ გაიქცა? ვინ იცავდა? რატომ არ დანიშნეს სამედიცინო ექსპერტიზა და მხოლოდ სიტყვიერი ჩვენებით შემოიფარგლნენ? რატომ არ გაასაჯაროა პროკურატურამ პირველი დაკითხვის ვიდეო, სადაც თათუხაშვილმა „აღიარებითი ჩვენება“ მისცა? რატომ არ არის დაცვის პროგრამაში ჩასმის მოთხოვნის ოქმზე თათუხაშვილის ხელმოწერა? ლოგიკურია, ადამიანი ამბობდეს ზეწოლის გარეშე, კამერების წინ, რომ ეშინია ახალაიების შურისძიებისა, ითხოვდეს სპეციალური დაცვის პროგრამაში ჩასმას და რამდენიმე საათის შემდეგ გარბოდეს ამ დაცვისგან, ემალებოდეს სახელმწიფო სტრუქტურებს და პარალელურად, დროს ატარებდეს ლილოში გასართობ კლუბებში? თუ ოფიცერი თათუხაშვილი იყო დაცვის ქვეშ და ამავე დროს, მისი მამა, გენერალი გოგი თათუხაშვილი საჯაროდ (აცებოოკ-ზე) აცხადებდა, რომ შვილი მოსტაცეს, რატომ არ შეატყობინეს მას, ან რატომ არ განაცხადა პროკურატურამ საჯაროდ, რომ შალვა თათუხაშვილი იმყოფებოდა დაცვის ქვეშ, რის შემდეგაც მიემალა დაცვას?

ამ ყველა კითხვაზე შალვა თათუხაშვილის მამას, გოგი თათუხაშვილს ერთი პასუხი აქვს — სახელმწიფო პროკურატურის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალის წაშლაში ღიად ჩაერთო! გენერალმა, პროკურატურის ბრიფინგისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომის ჩაშლის შემდეგ, Facebook-ის საკუთარ გვერდზე თავის განწყობა და პოზიცია დააფიქსირა: **„ვხედავ, სახელმწიფო მანქანა ღიად ჩაერთო პროკურატურის თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალის წაშლაში. მათი ეს აქტივობა მიმართულია ჩემი ოჯახის წინააღმდეგ და საზოგადოების შეცდომაში შეყვანისკენ. ეს ბრძოლა იმდენად გააფთრებულია, რომ „ადამიანთა უფლებების დამცველი“ ბესელია თავგამოდებით იცავს პროკურატურას! შალვას გატაცებიდან მეორე დღეს, 25 თებერვალს, ჩემ მიერ გავრცელებული განცხადების შემდეგ, პროკურატურა იძულებული გახდა, ჩაეტარებინა ჩემი შვილის ინსცენირებული „გაქცევა“ სახლის ფანჯრიდან. არადა, შალვა გავიდა მეორე კარიდან, იმავე მიმართულებით. რაც შეეხება სახლის ფანჯრებს, იქ აყენია უძრავი გისოსები... სიცრუეა, თითქოს მაქვს გაკეთებული მხოლოდ ერთი განცხადება. სინამდვილეში, რამდენიმე განცხადება გავაკეთე 25, 26, 28... თებერვალს. მოვითხოვდი გატაცებული შალვას გათავისუფლებას. ასევე სისხლის ანალიზის გაკეთებასა და სამედიცინო ექსპერტიზას, ვაფრთხილებდი, შალვა ავადაა და იღებს მედიკამენტებს, რასთან რეაქციაში თქვენმა წამლებმა შეიძლება ფატალურ შედეგამდე მიგვიყვანოს. სამწუხაროა, რომ არ გვიჩვენეთ „აღიარებამდე“ მიყვანის ფირები, როგორ მიმდინარეობდა დაკითხვა, ვინ ესწრებოდა, რა კანონსაწინააღმდეგო მეთოდები გამოიყენეს. გვიჩვენეთ და შემოიფარგლეთ პროკურატურაში შესვლა-გასვლის კადრებით. ეს ხომ ისედაც იცოდა მთელმა საზოგადოებამ. მეტს არც ველოდი და ამაზეც გიხდით მადლობას: დავრწმუნდი იმაში, რაც კადრებში ნათლად ჩანს — შალვა, შალვა არ არის არც ფიზიკურად, არც მეტყველებით და არც სიარულის მანერით. ათეულობით ადამიანი ადასტურებდა იგივეს“.**

„პარლამენტი ყაჩაღებისა და ბანდიტების თავშესაფარია“

რატომ არ უნდა სარგებლობდნენ დეპუტატები აბსოლუტური იმუნიტეტით

ერუსუდან შელია
557-100-768

პარლამენტში შალვა თათუხაშვილის საკითხთან დაკავშირებით დანიშნული საგანგებო სხდომა, რომელზეც მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძე იყო მოწვეული, ჩაიშალა. ნაციონალებმა გამოაქვეყნეს კითხვები, რომლებზეც შოთაძემ არგუმენტირებული პასუხი ვერ გასცა. პარლამენტის სხდომაზე მწვავე დებატები დეპუტატებისთვის იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებითაც გაიმართა. „ვერსია“ უმრავლესობის წევრ ზაქარია ქუცნაშვილს ესაუბრა.

— ჯერ კიდევ 2004 წელს, პარლამენტში ცვლილებები წარვადგინე, რომელთა თანახმად, პარლამენტის წევრებს აბსოლუტური იმუნიტეტით არ უნდა ესარგებლათ. აბსოლუტური იმუნიტეტი ნიშნავს, რომ პარლამენტის თანხმობის გარეშე, დეპუტატის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებაც კი არ შეიძლება ანუ პარლამენტი ყაჩაღებისა და ბანდიტების თავშესაფარია. თუ მოახერხე და პარლამენტის წევრი გახდი, მით უმეტეს, თუ უმრავლესობას წარმოადგენ, დანაშაულზე პასუხს ვერავინ გაგებინებს.

— ვინ არის გარანტორი, რომ კანონპროექტი, დამტკიცების შემდეგ, პოლიტიკური დევნის იარაღად არ იქცევა?

— ცვლილებების მიხედვით, დეპუტატის დაპატიმრების, ჩხრეკა-მოსმენისგან დაცულობის პრინციპი მცირედით შეიზღუდა, რადგან, როგორც ვთქვი, პარლამენტის თანხმობის გარეშე, გამოძიების ეტაპზე დეპუტატის მიმართ ჩხრეკის უფლებაც კი არ არსებობს. პარლამენტის წევრის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება, ავტომატურად, მის დაკავებას არ ნიშნავს. პირიქით, გამოძიებამ სამხილები უნდა შეაგროვოს და დეპუტატის დაკავება მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვოს. ასე რომ, ამ კანონპროექტით ყოველგვარი სპეკულირების წინააღმდეგი ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ცვლილებები პარლამენტში დანაშაულებრივი წარსულის მქონე ადამიანების მოხვედრას მნიშვნელოვნად შეაფერხებს.

— თუმცა იმუნიტეტის მოსახსნელად დეპუტატთა მხოლოდ 50 ხმაა საჭირო. რატომ გახდა აუცილებელი კონსტიტუციაში ცვლილება ან რატომ ფიქრობთ, რომ პროკურორი რანგით დეპუტატზე მაღლა უნდა იდგეს?

— ცვლილებები საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებს არ აკნინებს. თუ დეპუტატის მიმართ რაღაც ეჭვი ჩნდება და ამ დროს საგამოძიებო მოქმედებას ვერ აწარმოებ, ვერც ექსპერიმენტს ატარებს და აუდიო-ვიდეომასალის მოპოვების უფლებაც არ აქვს, ნორმალურია?

— საკონსტიტუციო ცვლილება პროკურატურის მხრიდან როლანდ ახალაიასთვის იმუნიტეტის მოხსნას რატომ დაემთხვა?

— ამ დამთხვევის გამო უხერხული ვითარება მართლაც შეიქმნა, თუმცა ცვლილება კონსტიტუციის გასწორებას უკავშირდება და პერსონალურად არავის ეხება.

— რატომ არ თანხმდებით ნაციონალების მოთხოვნას, ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტთან დაკავშირებით, საპარლამენტო კომისია შეიქმნას?

— ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმის ფაქტი სასწრაფოდ და ეფექტურად გამოსაძიებელია, რადგან ძალადობა დაუშვებელია. მნიშვნელობა არ აქვს, საგამოძიებო მოქმედებებს ვინ განახორციელებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ არსებული სტრუქტურებიც საკმარისია. „ქართული ოცნება“ ამ პროცესისგან პოლიტიკურ სარგებელს ნამდვილად ვერ ნახულობს, რადგან ჩვენ ხელისუფლებაში ვართ და პასუხისმგებლობაც გვაკისრია. მნიშვნელობა არ აქვს, ნუგზარ წიკლაური ვინ სცემა, ეს პროვოკაცია იყო თუ ანგარიშსწორება, ორივე შემთხვევაში, ეს „ქართული ოცნებისა“ და სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებაა.

— შალვა თათუხაშვილის საქმეზე ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა. იმაზე ვინაა პასუხისმგებელი, რომ ამ საკითხის განხილვა პარლამენტში ჩაიშალა?

— არ ვიცი, ვინ იყო მთავარი პროკურორის მოადგილის პარლამენტში მოწვევის ორგანიზატორი, მაგრამ ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო. ინიციატორი თუ ეკა ბესელია იყო, იჩქარა ან პროკურატურამ. შალვა თათუხაშვილის საქმეზე გამოძიება შვიდი დღის წინ დაიწყო. ეს იმდენად მცირე პერიოდია, რომ ექსპერტიზას, გარემოებების გადამოწმებას ვერ ასწრებ. ერთია, დანაშაულის გახსნა, მტკიცებულებების მოძიება — მეორე. ეს საკითხი ამ ფორმით არ უნდა წყდებოდეს. სხვა დეტალებზე კი ვერ ვისაუბრებ, რადგან შესაბამისი ინფორმაცია არ მაქვს.

ლევან ვეფხვაძე ენერგეტიკის მინისტრობისთვის ემზადება

ეროსუდან შელია
557-100-768

ქრისტიან-დემოკრატებისა და ნინო ბურჯანაძის ერთ კოალიციაში გაერთიანება არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. კახა კუკავამ ყოფილი სპიკერი ქრისტიან-დემოკრატებთან გაერთიანების გამო გააკრიტიკა და უარი თქვა მათთან ერთად კოალიციაში შესვლაზე. რატომ დაუპირისპირდა „თავისუფალი საქართველო“ გიორგი თარგამაძის ყოფილ პარტიას და რისთვის ემზადება ლევან ვეფხვაძე? „ვერსიას“ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გიორგი ახვლედიანი ესაუბრა.

რაცომ ვერ შედგა ოპოზიციური ერთობა და რა კომპრომატები აქვს გიორგი ახვლედიანს კახა კუკავას წინააღმდეგ

— არასაპარლამენტო ფლანგზე სერიოზული ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბება საზოგადოების დაკვეთაა. ეს აზრი განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის კოჰაბიტაციური ურთიერთობა თანამშრომლობაში გადაიზარდა, ამიტომ კოალიციის შექმნა აბსოლუტურად ლოგიკური გადაწყვეტილება იყო.

— თუმცა, არასაპარლამენტო ოპოზიციის სრული გაერთიანება ჯერ კიდევ ღია საკითხად რჩება, კახა კუკავას კი ქრისტიან-დემოკრატებისა და ნინო ბურჯანაძის ალიანსი ალოგიკურად მიაჩნია. რატომ განაცხადა კუკავამ კატეგორიული უარი თქვენ პარტიასთან თანამშრომლობაზე?

— ზოგადად, პოლიტიკური მოლაპარაკებების დროს ერთმა ძალამ მეორეს თუ არ დაუთმო, შეთანხმება შეუძლებელია. კახა კუკავასთან გაერთიანებაზე ინტენსიურად ვსაუბრობდით, თუმცა ამის შემდეგ, მოულოდნელად, მისი საჯარო განცხადება მოვისმინეთ — ნინო ბურჯანაძესთან ქრისტიან-დემკრატების გამო არ გავერთიანდებითო. ეს იმდენად მოკლეფეხება ტყუილია, კახა კუკავას შორს ვერ წაიყვანს. უამრავი ელექტრონული წერილი არსებობს, სადაც კუკავა ქრისტიან-დემოკრატებს პირადად გვთავაზობდა — ერთად დავდგეთ, ერთად ვიომოთო. არ მივიჩნევ საჭიროდ, ეს მიმოწერა გამოვაქვეყნო, მაგრამ თვითონ კახამ ეს ყველაფერი ხომ იცის?!

— მაშინ რა თამაში წამოიწყო კუკავამ — ნინო ბურჯანაძესთან ვერ შეთანხმდა და ქრისტიან-დემოკრატებთან დაპირისპირება მიზეზად გამოიყენა?

— როგორც ჩანს, გარკვეული თამაშის წესმა იგი მართლაც არ დააკმაყოფილა. უამრავი დეტალი და ნიუანსია, რომელსაც, ჯერჯერობით, ვერ მოვყვები. ფაქტია, შეთანხმება ვერ მოხერხდა, მაგრამ ჯერ კიდევ მაქვს იმედი, ოპოზიციის ერთობა შედგება. ჩვენი მთავარი პრინციპი ძლიერი გაერთიანების შექმნაა.

— ისე, 2012 წელს, პარლამენტში ლევან ვეფხვაძის აპარატის უფროსმა ზურაბ ჯიბღაშვილმა თანამდებობა იმის გამო დატოვა, რომ თქვენი პარტიის მდივანი ნიკა ლალიაშვილი მასთან პირად მიმოწერაში 26 მაისის მოვლენებს შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა — აქციის მონაწილეებისთვის ბართლომეს ღამე უნდა მოეწყოთ და ყველანი დაეჭირათო...

— 26 მაისის მოვლენების შემდეგ, ერთმნიშვნელოვნად განვაცხადეთ, რომ ყველა ადამიანი, რომელიც საპროტესტო შეკრებების ორგანიზატორია, აქციის მონაწილეების წინაშე პასუხისმგებლობას ინაწილებს, მაგრამ ძალადობასა და ტრაგედიაზე პასუხისმგებელი მხოლოდ ხელისუფლებაა. კარგად მახსოვს, მაშინ სხვა პოლიტიკურმა ძალებმა განაცხადეს — ხელისუფლებას, აბა, რა უნდა ექნაო.. ბევრს შეუძლია თქვას, რომ დარბევამდე აქციის ჩატარების ნებართვა ამოიწურა და მომიტინგეებთან მერის წარმომადგენელიც მივიდა, რაზეც პასუხისმგებლობა რადიკალიზაციის ავტორებზეც ვრცელდება, მაგრამ, როცა ადამიანებს დარბევისას გასასვლელს არ უტოვებენ, როგორ შეიძლება ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე არ ისაუბრო? მაშინ ქალბატონმა ნინომაც არაერთხელ აღნიშნა, რომ ჩვენი განცხადების მიმართ პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი. რაც შეეხება ზურაბ ჯიბღაშვილის განცხადებას, „ქართული ოცნების“ ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა, ამ ადამიანმა კი სხვა დეპუტატისგან შეთავაზება მიიღო. ნიკა ლალიაშვილი ამას რომც ფიქრობდეს, ზურა ჯიბღაშვილთან არ იტყოდა. პირიქით, ნიკა საკმაოდ კარგი ანალიტიკოსია, მაგრამ ისიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ 7 ნოემბრის შემდეგ ხელისუფლება 26 მაისს გაიმეორებდა.

— 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ, უკვე თქვენი კოალიციის ლიდერი ნინო ბურჯანაძე აცხადებდა, რომ სახელმწიფო შედგა. მას არც „იმედის“ დარბევა გაუპროტესტებია...

— რა თქმა უნდა, იმ პერიოდში ბევრი რამით უკმაყოფილონი ვიყავით, მაგრამ ნინო ბურჯანაძე მაშინდელი ხელისუფლების ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი იყო, რომელმაც მიგვიღო და ჩვენი პრობლემები მოისმინა.

— და რა გააკეთა პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ თქვენი პრობლემების გადასაჭრელად ან „იმედის“ გადასარჩენად?

— გასაგებია, 7 ნოემბერს ხელისუფლება დაიცვა, მაგრამ იურიდიული საფუძვლები ჰქონდა, აქციის ვადა გასული იყო. ბუნებრივია, ეს მას არ ამართლებს და ამისთვის ნაციონალურმა მოძრაობამ შესაბამისი პასუხიც მიიღო. მაშინ სხვას არავის გასჩენია სურვილი, უსამსახურო და გალახულ ჟურნალისტებს დალაპარაკებოდა. შეხვედრისას მივხვდით, რომ ნინო ბურჯანაძე ამ პროცესებში არ იყო გარეული.

— თქვენი და ნინო ბურჯანაძის აზრი საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებითაც ემთხვევა?

— ჩვენ ქვეყანაში რუსეთთან ურთიერთობის ორი სტერეოტიპი ჩამოყალიბდა: 9 წლის განმავლობაში გვეუბნებოდნენ, რუსეთს მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით, ხიდების დაწვით უნდა ველაპარაკოთო, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას რუსეთის აგენტობას აბრალებდნენ; „ქართულ ოცნებას“ კი წელიწადნახევრის განმავლობაში ამ მიმართულებით არაფერი უკეთებია — რუსები ისევ პრობლემებს გვიქმნიან, ჩვენ ტერიტორიაზე ახალ-ახალი მავთულხლართები ჩნდება, ხელისუფლებას კი, სახელმწიფოებრივი მიდგომაც არ აქვს, მხოლოდ იმას ამბობს, რუსულ აგრესიას კოორდინირებულ მუშაობას დავუპირისპირებთო... მოკლედ, თუ ნაციონალური მოძრაობა ლანძღვა-გინების მეტს არაფერს აკეთებდა, კოალიციამ იფიქრა, იქნებ წამოვწვე და სიამოვნება მაინც მივიღოო. არადა, რუსეთთან მოლაპარაკების რეჟიმის შენარჩუნება, როგორი მძიმეც უნდა იყოს, აუცილებელია. ამერიკამ და ევროპამ არც 2008 წელს და არც ახლა, ყირიმის შემთხვევაში რუსეთთან ომი არ დაიწყო. სანქციებზე საუბარი კი, უბრალოდ, სირცხვილი და თავის მოჭრაა. ნინო ბურჯანაძემ რუსეთთან ლაპარაკი უკვე შეძლო, როცა პუტინს შეხვდა.

— და ამ ლაპარაკით რა მივიღეთ?.. ბურჯანაძისა და პუტინის შეხვედრას მხარს დაუჭერთ?

— არაფერი მოგვარებულა, რადგან ნინო ბურჯანაძე მაშინ ოპოზიციის ლიდერი იყო და პუტინთან ხელშეკრულებას ვერ გააფორმებდა. რაც შეეხება შეხვედრას, თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ ეს ნაბიჯი ქვეყნისთვის სულ მცირედით მაინც დადებითი შედეგის მომტანი იქნება, რა თქმა უნდა, შეხვედრა უნდა შედგეს. მალე ალბათ, მეც პრორუსულს დამიძახებენ. ისე, ქრისტიან-დემოკრატები მუდმივად კრიტიკის ობიექტები ვიყავით, განსაკუთრებით, პარლამენტში ყოფნისას. მაშინდელი ოპოზიცია ფიქრობდა, რომ ჩვენზე დარტყმით საკუთარი რეიტინგი უნდა აეწია.

— მაშინ ჯონდი ბაღათურია საკმაოდ აქტიურად გიპირისპირდებოდათ, დღეს კი ერთ კოალიციაში ხართ.

— დიახ, ასეა, ამიტომ ურთიერთობისას ნინო ბურჯანაძის პარტიის კორექტულ ფორმებს ყოველთვის ვაფასებდით.

— რაც შეეხება ლევან ვეფხვაძეს, ის პოლიტიკაში რჩება?

— ლევან ვეფხვაძე საარჩევნო კამპანიაში ჩართულია, თუმცა დიდი სურვილი აქვს, ენერგეტიკის სფეროში მეტი ცოდნა მიიღოს. ამ მიმართულებით, ინგლისურის ცოდნასაც ხვეწს, საკმაოდ რთულ ტესტებს ავსებს და გამოცდებს აბარებს, რათა დაახლოებით, ერთ წელიწადში საქართველოს მისი სახით სერიოზული ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატი ჰყავდეს, თუმცა ამაზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევია.

აკაკი ბობოხიძე ხელისუფლებას ამხელს

„დღეს ისიც კი არ ვიცით, ვინ მართავს საქართველოს“

ეროსუდან შელია
557-100-768

პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე განიხილა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც დეპუტატის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად საკანონმდებლო ორგანოს თანხმობა საჭირო აღარ იქნება. საპარლამენტო ოპოზიცია აღნიშნულ ინიციატივას პოლიტიკური დევნის მორიგ გამოვლინებად მიიჩნევს, უმრავლესობა კი საკანონმდებლო ცვლილებებს კონსტიტუციის მოთხოვნათა პატივისცემით ხსნის. რას ნიშნავს დეპუტატის აბსოლუტური იმუნიტეტი და აკნინებს თუ არა კანონპროექტის დამტკიცება საკანონმდებლო ინსტიტუტს? რატომ უკავშირებს არჩევნებს ძმის დაკავება-გათავისუფლებას, „ვერსიას“ საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი ბობოხიძე ესაუბრა.

— ჩემი ძმის დაკავება პოლიტიკური ანგარიშსწორების ნაწილია და ვინც საქმეში ჩაიხედავს, ამაში თავადვე დარწმუნდება. როცა სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობის ნაცვლად გირაოთი გათავისუფლება შეუფარდა, პროკურატურამ ყველაფერი გააკეთა, რომ სააპელაციო სასამართლოს ჩატარებამდე დაეკავებინა. ისე, გიორგი გაჩეჩილაძემ სხდომაზე განაცხადა — 9 წლის განმავლობაში ცუდად რომ მექცეოდით, აბა, რა გეგონათო. ამით მან, ფაქტობრივად, ყველა კითხვას უპასუხა. მისი პოზიცია სხვა დეპუტატებისგან განსხვავებით, ნათელი და მკაფიოა.

— თქვენ ძმას რამდენიმე დანაშაულში ედება ბრალი, მათ შორის, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების გაფლანგვასა და თაღლითობის ორგანიზების ფაქტზე. რატომ უკავშირებთ ამ პროცესს მოახლოებულ არჩევნებს?

— ადიგენის მაგალითს გავიხსენებ, სადაც პროკურორი მერამდენე დღეა სასამართლოში არ მიდის იმ მოტივით, რომ საბოლოო განაჩენი არ დადგეს. მათ პროცესის გაჭიანურება ხელოვნურად სურთ, რადგან თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება. ყველამ იცის, ლევან ბობოხიძე არჩევნებში აქტიურად იყო ჩართული და ჩვენ გამარჯვებაშიც მისი უზარმაზარი წვლილია. ასე რომ, მათი ქმედებები ადვილი გამოსაცნობია.

— ამასობაში, პარლამენტმა დეპუტატებისთვის იმუნიტეტის მოხსნის საკითხიც პირველი მოსმენით განიხილა, რომელიც სხდომაზე საკმაოდ მწვავედ გააპროტესტეთ. რატომ ფიქრობთ, რომ დეპუტატის წინააღმდეგ საგამოძიებო ქმედებები არ უნდა განხორციელდეს?

— ეს ცვლილება პრინციპულად მიუღებელია. რეალურად კი, არაფერი იცვლება. ძალიან ხმამაღალი ნათქვამია, დეპუტატს იმუნიტეტი იცავსო. სინამდვილეში, მის მოხსნას მხოლოდ 51 დეპუტატის ხმა სჭირდება. უბრალოდ, უმრავლესობის წევრებს არ უნდათ, მათ ცხოვრებაში რაღაც ლაქა დარჩეს, რა იციან, ვინ, როდის, რას გაუხსენებს. ესენი იმ მენტალიტეტის ადამიანები არიან, რომელთათვისაც სწორი თუ მცდარი შეხედულება კი არა, მნიშვნელოვანია მომავალში უკმაყოფილო თვალით არავინ შეხედოს. ცვლილებების მიხედვით, ნებისმიერ დეპუტატზე საქმის აღძვრის უფლება მიეცემა.

— ცვლილებების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის, მათ შორის თქვენ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრის მოლოდინი გაქვთ?

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს... შესაძლოა, საქმე ჩემ წინააღმდეგაც აღძრან, მაგრამ ეს მხოლოდ საპარლამენტო უმცირესობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი არ გახლავთ. რეალურად, ეს უმრავლესობის წინააღმდეგ გამიზნული ქმედებაა, რომელთაც უთხრეს — აბსოლუტურად დაუცველები ხართ და ნებისმიერ რიგით პროკურორს თქვენზე მეტი უფლება აქვსო. დეპუტატს უზარმაზარი პასუხისმგებლობა აკისრია, მას უწევს საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილებების მიღებაც, თუმცა ამჟამინდელმა პარლამენტმა ყოველგვარი ფუნქცია დაკარგა. მართალია, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, პარლამენტს დაკარგულ როლს აღვუდგენო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ჯანდაბას, ვიტყვი, რომ 9 წლის განმავლობაში ქვეყანას ერთი კაცი — მიხეილ სააკაშვილი მართავდა, თუმცა საუბედუროდ, ვითარება უარესობისკენ შეიცვალა. დღეს ისიც კი არ ვიცით, ვინ მართავს საქართველოს.

„აკვიატებული იდეების მქონე არაპროფესიონალი თეა წულუკიანი თანამდებობიდან უნდა გადადგეს!“



რუსუდან შელია
557-100-768

ნოდარ ყანჩაველი, თავის დროზე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე თეა წულუკიანმა დანიშნა. არც ისე დიდი ხნის წინ კი, ყანჩაველმა, იმავე წულუკიანთან უთანხმოების გამო, ეს თანამდებობა დატოვა. ზოგადად, იუსტიციის მინისტრის სახელს ბოლო დროს არაერთი სკანდალი დაუკავშირდა, ერთ-ერთი კი ის იყო, რომ უწყებიდან წამოსვლის შესახებ განცხადება არაერთმა თანამშრომელმა დაწერა და მიზეზად თეა წულუკიანთან უთანხმოება დაასახელა. პოლიტიკურ კულუარებში უკვე ამბობენ, რომ იუსტიციის სამინისტროში არსებული აურზაური მალე მინისტრის „ჩამოლაბორანტების“ საფუძველი გახდება — თეა წულუკიანის საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია და იგი მალე „ოცნების“ მთავრობაში აღარ იქნებაო. რატომ აირია იუსტიციის სამინისტროს „მონასტერი“, რა მოთხოვნები აქვს თეა წულუკიანს თანამშრომლებთან, რატომ შეექმნა ბევრ მათგანთან ურთიერთობის პრობლემა? „ვერსიას“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის ყოფილი მოადგილე ნოდარ ყანჩაველი წულუკიანთან დაპირისპირების მიზეზებს ექსკლუზიურად უმხელს და მინისტრის უსიამოვნო ეპითეტით მოხსენიებასაც არ ერიდება — ყანჩაველის თქმით, წულუკიანი აკვიატებული იდეების მქონე სუსტი მენეჯერია.

— თეა წულუკიანს თანამშრომლების მიმართ არაპროფესიული დამოკიდებულება აქვს და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილის თანამდებობაც სწორედ ამიტომ დავტოვე. ბუნებრივია, მინისტრს, ძირითადად, მაღალი რგოლის მენეჯერებთან აქვს შეხება და არა დაბალი რგოლის კადრებთან, რომელთა მიმართ მინისტრის დამოკიდებულება, პირადად ჩემთვის, აბსოლუტურად მიუღებელია.

— იუსტიციის სამინისტროდან გათავისუფლებული თანამშრომლების უმრავლესობა აცხადებს, რომ თანამდებობა მინისტრთან დაპირისპირების გამო დატოვა. რატომ უჭირთ თანამშრომლებს მასთან ურთიერთობა, თეა წულუკიანს განსაკუთრებული მოთხოვნები აქვს?

— ზოგადად, მინისტრი პრეტენზიული და აკვიატებული იდეების მქონე პიროვნებაა, მხოლოდ ვიწრო წრესთან ურთიერთობს და, ძირითადად, დახშულ გარემოშია. სამინისტროს სხვა დაქვემდებარებულ სსიპ-ებთან კი ნაკლები კოორდინაცია აქვს. სხვა თანამშრომლებზე საუბრისგან თავს შევიკავებ, საკუთარი აზრი ყველამ თავად გამოთქვას, თუმცა გეტყვით, რომ სამინისტროში ეს პრობლემა ზოგადად არსებობს.

— შეგიძლიათ, თეა წულუკიანის ერთი აკვიატებული იდეა დაასახელოთ?

— თავს შევიკავებ ისეთ დეტალებზე საუბრისგან, რომელიც სამინისტროს ფარგლებს არ უნდა გასცდეს. ზოგადად კი, თეა წულუკიანი სუსტი მენეჯერია.

— თანამდებობიდან თქვენი გათავისუფლება მოახლოებულ არჩევნებს ხომ არ უკავშირდება? იუსტიციის სამინისტროში მუშაობა ზურაბ ადეიშვილის მინისტრობის პერიოდში დაიწყეთ.

— არასწორი ფორმულირებაა, თითქოს ზურა ადეიშვილის კადრი ვარ... სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში მუშაობა 2013 წლის ივნისში, თეა წულუკიანის მინისტრობის დროს დავიწყე. კონკურსის საფუძველზე დამნიშნეს, გასაუბრება კი პირადად თეა წულუკიანთან გავიარე და სწორედ მის მიერ დაწინაურებული კადრი ვარ. ზურაბ ადეიშვილის მინისტრობის პერიოდში კი, იუსტიციის სისტემაში მართლაც ვმუშაობდი, მაგრამ სხვა სსიპ-ში და თანაც საკმაოდ დაბალ თანამდებობაზე — ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი გახლდით.

— თეა წულუკიანი სამინისტროს თავის კადრით აკომპლექტებს?

— ჩემი ინფორმაციით, მინისტრი ცდილობს, სხვადასხვა სსიპ-ის თავმჯდომარეები, მოადგილეები და განყოფილების უფროსები სწორედ თავის კადრით დააკომპლექტოს, რაც უწყებას დაეტყო კიდეც. იუსტიციის სამინისტროს რამდენიმე სსიპ-ი ექვემდებარება. თეა წულუკიანს, ძირითადად, გენინსპექციისა და აუდიტის სამსახურებზე აქვს აქცენტი და ცდილობს, ამ მიმართულებით კადრები პირადი წრიდან დანიშნოს.

— ისე, თვითმმართველობის ადგილობრივი არჩევნებისთვის იუსტიციის სამინისტრომ სიების გაციფრულების ვალდებულება აიღო. ამ მიმართულებით, რამე პრობლემები ხომ არ იქმნება, რა ეტაპზეა პროცესი და თუ ესწრება არჩევნებამდე მისი დასრულება?

— ჩემ დაქვემდებარებაში ეს პროექტი არ იყო, მისი განხორციელება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის მეორე მოადგილეს დაევალა. შესაბამისად, ამ საკითხზე კომპეტენტურად ვერ ვისაუბრებ, თუმცა ვიცი, რომ სამუშაოს შესრულების ტემპი საკმაოდ დაბალი იყო. ბაზების სისწორე საარჩევნო სიის ფორმირებისთვის აუცილებელია და ეჭვი მეპარება, ამ მიმართულებით ყველა საკითხი გამართულად შესრულდეს. თუ ვცდები და ყველა საკითხი წარმატებით მოგვარდა, ეს იუსტიციის მინისტრის დამსახურება ნამდვილად არ იქნება.

— თბილისის იუსტიციის სახლი მოქალაქეებისთვის დღემდე დახურულია. ამას ობიექტური მიზეზები აქვს თუ მხოლოდ თეა წულუკიანის აკვიატებული იდეაა?

— ეს პროცესი მართლაც ხელოვნურად გაიწელა. თავდაპირველად, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, იუსტიციის სახლი დროებით უნდა დახურულიყო, თუმცა ნოემბრის შემდეგ 5 თვე გავიდა და არა მგონია, დაზიანების აღმოსაფხვრელად ამდენი დრო საჭირო იყო. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ სამინისტრო არაეფექტურია და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს დროულად ვერ იღებს.

— თეა წულუკიანის კიდევ ერთი დაპირება ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა იყო, რომელიც ამ დრომდე არ ჩამოყალიბებულა.

— თეა წულუკიანმა ამ მიმართულებით პასუხისმგებლობა თავად აიღო, თუმცა მისი შეუსრულებლობა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ მინისტრი არაპროფესიონალია.

— დავით კეზერაშვილის ექსტრადირების საკითხთან დაკავშირებითაც მინისტრის პასუხისმგებლობა იკვეთება? რატომ ვერ შეძლო სამინისტრომ საფრანგეთში საკმარისი დოკუმენტაციის წარდგენა?

— დიახ, ვეჭვობ, საფრანგეთში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ექსტრადირებისთვის მოუმზადებელი მასალები გადაიგზავნა და შედეგიც შესაბამისი დადგა. თუ გვინდა, იუსტიციის სისტემა გაიმართოს და ეფექტურად იმუშაოს, თეა წულუკიანი თანამდებობიდან უნდა გადადგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უმაღლესი დონის მენეჯმენტი ამ უწყებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის. პროფესიონალ კადრებს იუსტიციის სამინისტროში მუშაობის სურვილი აღარ აქვთ. უკლებლივ ყველა მენეჯერი ალტერნატიული სამსახურის პოვნას ცდილობს, რათა ქაოტურ და დაულაგებელ ვითარებას თავი აარიდოს. ეს პროცესი კი მანამ გაგრძელდება, სანამ თეა წულუკიანი თანამდებობას შეინარჩუნებს. როგორც კი იგი თანამდებობიდან გადადგება, პირადად მე და ყველა წასული თანამშრომელი, მზად ვართ, სამინისტროში დავბრუნდეთ და საქმიანობა გავაგრძელოთ. მაღალი რგოლის თანამშრომელთაგან ოცმა თანამდებობა უკვე დატოვა, ჩემი ინფორმაციით, თუ ვითარება არ შეიცვლება, უახლოეს მომავალში კიდევ ოცი თანამშრომელი იუსტიციის სისტემას დატოვებს.

ოპოზიცია

„სერიოზულ განცხადებას გავაკეთებ, აღარ ვაპირებ არაფრის დამალვას!“

რატომ გადაწყვიტა თბილისის მერობისთვის ბრძოლა და ვინ ბლოკავს გიორგი გაჩეჩილაძეს

რუსუდან შელია
557-100-768

2 აპრილს, საქართველოს პარლამენტში, უმრავლესობასა და უმცირესობას შორის სხდომათა დარბაზში დაწყებული სიტყვიერი შეურაცხყოფა, დარბაზს გარეთაც გაგრძელდა. უმცირესობის დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადების შემდეგ, „მწვანეების“ ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ, ხელისუფლებას ნაციონალების მიერ დადგმული სპექტაკლის დასრულება მოსთხოვა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობის თემაც წამოჭრა. „ვერსია“ დაპირისპირების დეტალებზე გიორგი გაჩეჩილაძეს ესაუბრა.

— დამნაშავეთა ჯგუფი — ნაციონალური მოძრაობა პარლამენტიდან გვმოძღვრავს და მთელ საქართველოს აქეთ სდებს ბრალს იმაში, რასაც წლების განმავლობაში თავად აკეთებდა. ამ თემაზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ თავხედობასაც ხომ საზღვარი აქვს?! რამდენიმე წლის წინ, ჩემ სიძეს, დილის შვიდ საათზე ნიღბიანები სახლში შეუვარდნენ და „კალაშნიკოვი“ ტახტის ქვეშ შეუგდეს. ეს ჩემი შვილიშვილების თვალწინ ხდებოდა, რომლებიც მაშინ ოთხი-ხუთი წლის იქნებოდნენ. ბავშვებს ეს უბედურება დღემდე ესიზმრებათ.

— თქვენთვის ნუგზარ წიკლაურზე განხორციელებული თავდასხმა გამართლებულია?

— ნუგზარ წიკლაურის საკითხი აბსურდის თეატრს დაემსგავსა. ადამიანი ამბობს, მთელი არმია თავს დამესხა და ელექტროშოკები მირტყესო. ეს ყველაფერი ალოგიკურად მეჩვენება. ვეჭვობ, სპექტაკლთან გვაქვს საქმე, თუმცა მაინც პარლამენტის წევრია, დეპუტატზე, ზოგადად, ადამიანზე თავდასხმა არ შეიძლება, ამიტომ ეს საქმე უნდა გამოიძიონ. 9 წელი ნაციონალურ მოძრაობას სწორედ იმიტომ ვებრძოდი, რომ უდანაშაულო ადამიანებს სურვილისამებრ იჭერდნენ, აწამებდნენ... ბიუჯეტს ჭამდნენ. დაამახინჯეს საქართველო და ფულს ათეთრებდნენ.

— სხდომაზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა მოითხოვეთ, რატომ?

— იმიტომ, რომ ეს მაიმუნობა უნდა დასრულდეს. საზოგადოებას უნდა მიეცეს საშუალება, ახალი პოლიტიკური სპექტრი აირჩიოს. პარლამენტში კი, მხოლოდ ის ადამიანები უნდა შევიდნენ, რომლებიც ქვეყანას განვითარების საშუალებას მისცემენ. ამჟამინდელი პარლამენტი ხელოვნურია, ნაციონალურ მოძრაობას საკანონმდებლო ორგანოში რა უნდა? ვის სჯერა, რომ მათ არჩევნებში რეალურად 40% მიიღეს? ახლა ისინი 5%-საც ვერ გადალახავენ.

— ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, თქვენი პარტია თუ შეძლებს პარლამენტში ისევ შესვლას?

— ეს ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს. გადავწყვიტე, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მივიღო, სადაც კარგად გამოჩნდება ვინ რამდენ ხმას აიღებს.

— თბილისის მერობისთვის ბრძოლა რატომ გადაწყვიტეთ?

— ქვეყანაში მხოლოდ „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებზე საუბრობენ. დარწმუნებული ვარ, თბილისის მერის არჩევნებში მეორე ტური გაიმართება, სადაც მე და დავით ნარმანია ერთმანეთს დავუპირისპირდებით. სამწუხაროდ, ამ ინფორმაციის საზოგადოებისთვის სრულად მიწოდება ვერ მოვახერხე. როგორც ჩანს, ვიღაც დამფრთხალია ჩემი კანდიდატურით.

— ვინ გბლოკავთ?

— იმდენი ინფორმაცია მაქვს, უახლოეს მომავალში სერიოზულ განცხადებას გავაკეთებ. არაფრის დამალვას აღარ ვაპირებ, რადგან უახლოეს მომავალში ასოცირების ხელშეკრულებას ხელი უნდა მოვაწეროთ. მისი ძირითადი პრინციპები კი არჩევნები სიტყვის თავისუფლება და ადამიანის უფლებების დაცვაა.

— არჩევნებში დამოუკიდებლად ბრძოლას აპირებთ თუ ოპოზიციასთან გაერთიანდებით?

— კენჭს დამოუკიდებლად ვიყრი, ვისთან უნდა გავერთიანდე?!



შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ოთარ დ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ოთარ დ-მ ნარკოტიკი საქართველოში თურქეთის რესპუბლიკიდან შემოიტანა. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 45 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,358 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით). გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

„სტაბილურობასთან ერთად ქვეყანაში ინვესტიციები იზრდება“

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, ქვეყანაში ინვესტიციების ზრდის მიზეზები განმარტა. მისი თქმით, ინვესტიციების მატება პოლიტიკურ ვითარებასთანაა დაკავშირებული: **„შარშან ბიზნესს თავი პოლიტიკურმა ცვლილებამ შეაკავებინა, რის გამოც 6%-იანის ნაცვლად, 3 %-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. ბოლო კვარტლის პოზიტივიც ამაზე მიგვანიშნებს — როგორც კი სტაბილური გახდა პოლიტიკა, გაიზარდა ინვესტიცია“.**

„ინტერპრესნიუსი“

ჯავახეთში რუსული პასპორტიზაციის პროცესი საქართველოს ოკუპაციის გაგრძელებაა

რა საკითხები განიხილეს ავსტრიაში საერთაშორისო ფორუმზე

ლევან ხვედელიძე
„ვერსიისთვის“ ავსტრიიდან (ვენა)

27-28 მარტს ავსტრიაში საერთაშორისო ფორუმი ჩატარდა. თითო შეხვედრა დაახლოებით 3 საათს გაგრძელდა. ფორუმში უცხოელ ექსპერტებთან, დიპლომატებსა და პოლიტიკოსებთან ერთად, საქართველოს მმართველი გუნდის წევრი ვიქტორ დოლიძე და ოპოზიციის ორი წარმომადგენელი მონაწილეობდნენ. „ვერსიამ“ ვენაში, ვიქტორ დოლიძესთან ინტერვიუ ექსკლუზიურად ჩაწერა. მმართველი გუნდის წარმომადგენელმა, ფორუმზე განხილული საკითხების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეებიც შეაფასა.

— ესაა საერთაშორისო ფორუმი, რომელიც ტრადიციად უნდა იქცეს. ფორუმი შედგა შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოებისა და განვითარების ინსტიტუტის, ასევე ამერიკული ჯორჯ მარშალის ფონდის თაოსნობით. მასში მონაწილეობდნენ მაღალი დონის პოლიტიკოსები, დიპლომატები ლატვიიდან, შვედეთიდან... სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, ექსპერტები, მათ შორის მაიკლ ემერსონი, ვანტე გორნელი, რიჩარდ იანგსი კარნეგის ცენტრიდან... ძირითადად, ვისაუბრეთ რუსეთის, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების, აღმოსავლეთ პარტნიორობის, სამეზობლო პოლიტიკის, რეგიონის, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროინტეგრაციის შესახებ.

— კონკრეტულად რა შედეგი მოიტანა ამ შეხვედრამ?

— არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ ამ ერთი შეხვედრით, ერთ დღეში მოგვარდება პრობლემა. პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხებზე ვსაუბრობთ, ვაანალიზებთ მათ.

— რაიმე სიახლე თუ გამოიკვეთა ევროპასთან ასოცირებისა და სავაჭრო ურთიერთობების ხელშეკრულების თემასთან დაკავშირებით?

— თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება, ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომელიც საკითხების ფართო სპექტრს ითვალისწინებს. მათ შორის, საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხრიდან იმ საშინაო დავალების შესრულებას, რომელმაც ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემები უნდა გადაჭრას. როგორც კი ეს შეთანხმება ამოქმედდება, გვექნება შანსი, ევროპის ბაზარზე პროდუქციაც გავიტანოთ და ევროპული სტილის ეკონომიკაზე გადავიდეთ. ასევე უმნიშვნელოვანესია რუსეთთან ურთიერთობა. საინტერესოა, სადამდე წავა პუტინი და როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში. რა უნდა გააკეთოს ამ მიმართულებით ევროპამ და აშშ-მ, ამ საკითხზე სერიოზული ანალიზი გავაკეთეთ.

— აბაშიძე-კარასინის არაფრისმომტან შეხვედრებზეც ისაუბრეთ?

— ჩვენ უკვე გვაქვს კონკრეტული შედეგები, მაგალითად, სავაჭრო ურთიერთობების აღდგენასთან დაკავშირებით. მართლა გვინდა, კეთილმეზობლური, სტაბილური ურთიერთობები გვქონდეს რუსეთთან, მაგრამ სამწუხაროდ, მათ არ უნდათ. მიუხედავად ამისა, 17 000 000 მილიონ ბოთლზე მეტი ქართული ღვინო, წყალი და სხვა პროდუქტია უკვე რუსულ ბაზარზე, რაც საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია. პარალელურად, ვხედავთ, რუსეთი როგორ პოლიტიკას ატარებს საქართველოსა და უკრაინის მიმართ. ჩვენ ძალისხმევას არ ვაკლებთ და საერთაშორისო დონეზე გვეუბნებიან, რომ სწორად ვიქცევით, მაგრამ მეორე მხრივ, რუსეთის მხრიდან არ ჩანს ადეკვატური ნაბიჯები. ეს ურთულესი პროცესია, რომელიც ილუზიებზე დაფუძნებული კი არა, შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს.

— გასაგებია, მაგრამ შედეგი რომ არ ჩანს და „მავთულხლართებით ოკუპაცია“ გრძელდება?

— ჟენევის მოლაპარაკების ფორმატი უსაფრთხოების საკითხზე სწორედ იმიტომ მუშაობს, ინციდენტების პრევენცია მოხდეს. მავთულხლართების გადმოწევის მიუხედავად, ამგვარი მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს. დღეს საქართველო და ზოგადად რეგიონი, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ურთულეს ვითარებაშია. პუტინის მიერ გადადგმული ნაბიჯები სახიფათოა ევროპისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიმოქმედოთ და არ გადავდგათ ნაბიჯები.

— არანაკლებ სახიფათო ვითარებაა ჯავახეთში. ჩახალიანის გააქტიურება, რუსული, პასპორტების დარიგება... პუტინის მიერ საქართველოს ანექსიის გაგრძელება ხომ არაა?

— თავდაპირველად, ასე მოიქცა რუსეთი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც. კრემლმა პასპორტიზაციის მეთოდს მიმართა უკრაინაშიც. სცენარი ერთნაირია. სამწუხაროდ, პროცესის შემობრუნება არც ჯავახეთშია გამორიცხული, ამიტომ მაქსიმალურად მზად უნდა ვიყოთ.

— ამ ფონზე, მთავრობა ხომ არ ნანობს, ჩახალიანი ციხიდან რომ გამოუშვა?

— კონკრეტულად, ჩახალიანზე ან სხვებზე რამის თქმა არ შემიძლია, რადგან უშუალოდ არ ვიყავი პროცესში ჩართული. ზოგადად, ქვეყანაში ძალიან ბევრი პოლიტპატიმარი გვყავდა. მათი გათავისუფლებისას, შესაძლოა, კონკრეტულად ვინმეს შემთხვევაში არასწორი გადაწყვეტილებაც იყო მიღებული, მაგრამ შეიძლება, არც იყო ასე... არ ვიცი.

— დღეს არაერთ ადამიანს იბარებენ დაკითხვაზე, გახშირდა დაპატიმრებებიც. თქვენი აზრით, ეს მართლაც გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესია?

— გავითვალისწინოთ, რომელ სტანდარტებზე ვსაუბრობთ. თუ სტანდარტია კანონის უზენაესობა და ის, რომ არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენელს არ აქვს უფლება, ბოროტად გამოიყენოს თანამდებობა, ჩაერთოს კორუფციაში, გახდეს ძალადობისა თუ სხვა სახის დანაშაულის მონაწილე, მაშინ ეს ნამდვილად სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესია. თუ ვამბობთ, რომ ყველას ყველაფერი უნდა ეპატიოს, მაშინ ეს სულ სხვა სტანდარტია.

— ამ დაპატიმრებების სერიით ხელისუფლება მტრის წისქვილზე არ ასხამს წყალს და ევროკავშირსა თუ ნატოში ინტეგრაციას არ უშლის ხელს?

— დღევანდელი ხელისუფლება ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. სასწორის ერთ პინაზე მოქალაქეების მიერ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნაა, მეორეზე კი — ინტეგრაციული პროცესები. გეთანხმებით, დაპატიმრებებთან დაკავშირებით ხშირად კითხვები მართლაც ისმის. ციხეში არავის ყოფნა მიხარია, მაგრამ მეორე მხრივ, კანონის უზენაესობაა უმთავრესი. პროცესი იმდენად გამჭვირვალედ მიმდინარეობს და მასში საერთაშორისო ჩართულობაც იმდენად დიდია, შეუძლებელია, თუ რამე ირღვევა, შეუმჩნეველი დარჩეს. იმედი მაქვს, პროკურატურა ობიექტურად და გამჭვირვალედ გამოიძიებს ამ საქმეებს და ყველა კითხვას უპასუხებს.

ვერსიანიუსი

საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, 2014 წლის მარტში, საქართველოში ვიზიტორთა 392 725 ვიზიტი დაფიქსირდა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 8%-ით მეტია.

რაც შეეხება იანვარ-მარტის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 1 006 267 ვიზიტი განხორციელდა, რაც 7,6%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ვიზიტორთაგან ტურისტი იყო 374 382 (საერთო რაოდენობის 37,2%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 10,1%); ტრანზიტული ვიზიტის რაოდენობა 175 805-ია (საერთო რაოდენობის 17,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 39%); სხვა ვიზიტებისა კი — 456 080 (საერთო რაოდენობის 45,3%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -3%).

2014 წლის მარტშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-26%), აზერბაიჯანიდან (+39,9%), სომხეთიდან (+30,7%), რუსეთიდან (+38,8%), უკრაინიდან (+38,5%) და ირანიდან (-43,9%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-მარტშიც, ტრადიციულად, გამოირჩევიან პოლონეთი, ნიდერლანდები, ლიტვა და იტალია (შესაბამისად 147%, 26%, 24%, და 21%), შუა აზიის ქვეყნებიდან: ყაზახეთი (25%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ბელორუსისა და მოლდოვას მოქალაქეები 40% და 27%–იანი მატებით.

„ვერსიანიუსი“

პრეცედენტული სამართალი - გადაწყვეტილების დასაბუთების წყარო

ადამიანის უფლებათა ცენტრი საქართველოს უზენაეს სასამართლოში 1999 წლიდან ფუნქციონირებს და, ფაქტობრივად, სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილების ერთ-ერთ სექტორს წარმოადგენს. ცენტრი აქტიურადაა ჩართული ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავრცელებაში. სწორედ აღნიშნულ თემას მიეძღვნა 2014 წლის 2 აპრილს უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკაში გამართული პრეზენტაცია.

კონსტანტინე კუბლაშვილი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის დირექტორ ფილიპ ლიჩს ხვდება

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2009 წლიდან გამოსცემს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს საქმეებზე გამოტანილი ქართულად ნათარგმნი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კრებულს. პრეზენტაციაზე ცენტრმა ახალი პროდუქტი - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი წარმოადგინა.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მჭიდრო ურთიერთობა აქვს როგორც უზენაესი სასამართლოს, ასევე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებთან. კერძოდ, გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ცენტრი აწვდის უახლეს და მნიშვნელოვან პრეცედენტებს, რაც გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობაში ეხმარება მოსამართლეებს.

ამას გარდა, ადამიანის უფლებათა ცენტრში სტაჟირებას გადიან საერთაშორისო სამართლისა და იურიდიული ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სტრასბურგის სასამართლოს შერჩეული გადაწყვეტილებების თარგმნის პროცესში. ცენტრში იმართება ყოველკვირეული შეხვედრები.

პრეზენტაციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი და დიდი ბრიტანეთის მიდლსექსის უნივერსიტეტის პროფესორი, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) დირექტორი ფილიპ ლიჩი დაესწრნენ. მათ ცენტრის მიერ გაწეული სამუშაოს პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

კონსტანტინე კუბლაშვილი: „დღეს ჩვენ გვექნება კიდევ ერთი გამოცემის პრეზენტაცია, რომელშიც ტექსტები უკვე თემატურად არის დალაგებული. ეს ხელს შეუწყობს მოსამართლეებს, რომ კონკრეტულ საქმეებზე, კონკრეტულ მუხლებზე დაყრდნობით გაცილებით ადვილად მოიძიონ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

2013 წელს საქართველოში დაახლოებით 500 საქმეზე იყო გამოყენებული ევროპული სასამართლო პრაქტიკა, როგორც დასაბუთების წყარო. პატარა ციფრი არ არის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს სასამართლოებს წლის განმავლობაში ათასობით გადაწყვეტილება გამოაქვთ, უმჯობესი იქნება, თუ 500-ის სანაცვლოდ 1000 და 1500 საქმეზე გამოვიყენებთ დასაბუთების ამ წყაროს. თბილისის საქალაქო სასამართლოში მუშაობს კონსულტანტი, რომელიც ჩვენს მოსამართლეებს ამ კუთხით ეხმარება.

გვინდა არეალი გავაფართოვოთ და მსგავსი ფორმით ქუთაისისა და ბათუმის სასამართლოებსაც დავეხმაროთ. მნიშვნელოვანია სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების გამოცემაც. ყველა მოქმედ მოსამართლეს აქვს დაგზავნილი ეს კრებული, რათა მათ თავად იცოდნენ, რა კონკრეტულ დარღვევებზე გაამახვილა ყურადღება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.“

ფილიპ ლიჩი: „მოხარული ვარ, რომ უკვე ერთი კვირაა საქართველოში ვიმყოფები და საშუალება მაქვს, საკუთარი გამოცდილება გავუზიარო ქართველ კოლეგებს.

უაღრესად მნიშვნელოვანია პრეცედენტული სამართლის სათანადოდ დანერგვა. ადვილი არ არის, ყველა კონკრეტულ საქმეში პრეცედენტული სამართალი გამოვიყენოთ, თუმცა ეს არც არის აუცილებელი - მთავარია, პრინციპებს ზედმიწევნით გავეცნოთ. მესმის, რომ ქართველი მოსამართლეებისთვის ძნელია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა წაკითხვა და აღქმა.

ეს მხოლოდ ქართული კი არა, ევროპული მასშტაბის პრობლემაა, რომ გადაწყვეტილებები ითარგმნოს და მოსამართლეებს მშობლიურ ენაზე მათი გაცნობის საშუალება ჰქონდეთ. სწორედ ამითაა მნიშვნელოვანი ამ ცენტრის საქმიანობა. მეც ვცდილობ, შეძლებისდაგვარად, შესაბამისი წვლილი შევიტანო და დახმარება აღმოვუჩინო.

გარდა აკადემიური საქმიანობისა, სამშობლოში მაქვს მცირე ზომის იურიდიული ფირმა, რომლის მეშვეობითაც ვცდილობ, დახმარება აღმოვუჩინო ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორიცაა, მაგალითად ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაცია. პრატიკულ დახმარებას ვუწევთ მათ, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სარჩელები გამართულად და სწორი ფორმით წარადგინონ“.

ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ მოსამართლეები, აკადემიური წრის წარმომადგენლები, პრაქტიკოსი იურისტები და საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საპატიო სტუმართა შემდეგ შეკრებილ საზოგადოებას უშუალოდ ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა **სოფო წაქაძემ** მიმართა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ამგვარად განისაზღვრა:

1. პრეცედენტული სამართლის პოპულარიზება

2. მოსამართლეთა ინფორმირებულობა

3. ცოდნის გავრცელება

ცენტრში შექმნილია ქართულად ნათარგმნი გადაწყვეტილებების სარედაქციო კოლეგია. მის საქმიანობაში უზენაესი სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა, იუსტიციის სამინისტროს ორი თანამშრომელიც მონაწილეობს. მიმდინარეობს მუშაობა იურიდიული ტერმინოლოგიის შეჯერებასა და უნიფიცირებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში გამხდარა პრობლემების და გაურკვევლობების მიზეზი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მომავალშიც გააგრძელებს ყოველწლიური კრებულის გამოცემას. ერთ-ერთი მიზანია, ცენტრმა სრულად მოიცვას საქართველოს გაერთიანებული სასამართლოები. იგეგმება სტრასბურგის სასამართლოს ქართულად ნათარგმნი გადაწყვეტილებების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნაც. ეს იქნება ევროპულ სასამართლოსთან არსებული HUDOC-ის ბაზის ქართული ანალოგი. აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პუბლიკაციისა და ინფორმაციის განყოფილებასთან (Case-Law Information and Publications Division European Court of Human Rights), რომელიც ევროპული სასამართლოს ვებგვერდზე ქართულად ნათარგმნ გადაწყვეტილებებს ავრცელებს.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ფილიპ ლიჩმა, რომელსაც კონსტანტინე კუბლაშვილმა სამახსოვრო მედალი გადასცა, უზენაესი სასამართლოს ისტორიული შენობა და „მართლმსაჯულების მუზეუმი“ დაათვალიერა.

საქართველოსთან დაკავშირებული თითოეული გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის და ჯეროვან ყურადღებას საჭიროებს. არსებობის თითქმის 50 წლის განმავლობაში სტრასბურგის სასამართლომ ათასობით გადაწყვეტილება გამოიტანა. თითოეული ეს გადაწყვეტილება სავალდებულოა მოცემული ქვეყნისთვის და ხშირად იწვევს მთავრობების მიერ მათი ეროვნული კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ცვლილებას სხვადასხვა სფეროში. ევროპის საბჭოს პოლიტიკა ამ სფეროში სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერებისკენაა მიმართული. პერმანენტულად მიმდინარეობს საქმეთა გასაჩივრების მექანიზმების გამარტივება და დახვეწა.

პრეზენტაციაზე შეკრებილმა საზოგადოებამ: სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა, პრაქტიკოსმა იურისტებმა, მოსამართლეებმა ზემოთ ხსენებული გამოცემების კრებული მიიღეს და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ნახევრადოფიციალურ ვითარებაში გაგრძელდა.

ზურაბ გენგიურის ფოტოები

პროექტს ახორციელებს შპს „ბესტკომპანიგეორგია“
ელ-ფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

„ზოგჯერ აქ გვიწევს დარჩენა და ყუთებში ვიძინებთ, მეშინია, ჩემი და-ძმა არ გაიყინოს“

როგორ იბრძვიან გადარჩენისთვის და რაზე ოცნებობენ მაწანწალა ბავშვები

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, ყველა პატარას აქვს უფლება, ჰქონდეს სახლი, ხელმისაწვდომი განათლება... სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანაში ბევრი ბავშვის უფლებები ილახება — მეტროში, თბილისის ქუჩებში არაერთი ხელგაწვდილი პატარა შეგხვდებათ. დედაქალაქში, ადგილობრივებთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიიდან და მოლდოვადან ჩამოსულ პატარა მაწანწალებსაც გადააწყდებით. „ვერსია“ დაინტერესდა, რა პირობებში უწევთ მიუსაფარ ბავშვებს ცხოვრება, როგორ იბრძვიან გადარჩენისთვის და რას აპირებენ მომავალში... გოგონა, რომელმაც გვთხოვა, ჩემს ვინაობას თუ არ გაამხელთ, გაგესაუბრებითო, თურქეთიდანაა ჩამოსული. ქართულად საკმაოდ კარგად ლაპარაკობს, მშობლიური თურქული კი, როგორც გამოგვიტყდა, აღარც ახსოვს.

— საქართველოში რომ ჩამოვედი 11 წლის ვიყავი. იქ ძმები საშინლად მექცეოდნენ, მამა არ მყავდა, დედა კი, ატირებულს თუ დამინახავდა, მეჩხუბებოდა. მეზობლად, ერთ კაფეში ქართველი ქალი მუშაობდა. სახლში რომ მცემდნენ, მასთან გავრბოდი, ვეხუტებოდი და ვქვითინებდი. ლინდა ამბობდა, ჩვენთან კეთილი ხალხი ცხოვრობსო. ვიფიქრე, აქ თუ ჩამოვიდოდი, ყველა ჩამეხუტებოდა და შემიყვარებდა. საქართველოში მინდა-მეთქი, სულ ვეუბნებოდი. ჩუმად გადამიღო ფოტო, საბუთები გამიკეთა და წამომიყვანა. თბილისში კაფე გახსნა, სადაც ერთად ვმუშაობდით და ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. მალე ქართულიც ვისწავლე, ის ქალი კი დედაზე მეტად მიყვარს.

— ახლა სადაა ის ქალბატონი, აღარ გპატრონობს?

— 5 წლის წინ დაიჭირეს. თურქეთიდან საქართველოში რომ ბრუნდებოდა, საზღვარზე დააკავეს. მერე, ვიღაც კაცებმა კაფე დახურეს, სახლიდანაც გამაგდეს. თანხა, რომელიც შემომრჩა, თბილისში 1 კვირაც არ მეყოფოდა. ვიცოდი, სოფლებში სახლებს ძალიან იაფად აქირავებდნენ. მატარებლით ქართლში წავედი. სახლის ძებნაში, რამდენიმე ღამის გათევა ავტობუსის გაჩერებაზე მომიწია. ერთ საღამოს, ქურთუკში რომ გავეხვიე და დასაძინებლად მოვემზადე, მოხუცი ქალი მოვიდა. გამომკითხა ყველაფერი და შინ წამიყვანა, შემწვარი კარტოფილით და ღორის ხორცით გამიმასპინძლდა. არ მშიოდა, მაგრამ მაინც ვჭამე. მაშინ მუსულმანი ვიყავი, მაგრამ რაც გემრიელი იყო, ყველაფერს ვჭამდი. ამ ქალმა შემიფარა, დიდხანს მელაპარაკა იესო ქრისტეზე. მითხრა, მონასტერში მიგიყვან, გაგზრდიან, გზაზე დაგაყენებენ და მერე თვითონ გადაწყვეტ, რას იზამო. მეორე დღეს, უთენია წავედით მონასტერში. დედა თეკლასთან მიმიყვანა და დამემშვიდობა. მაშინ უკვე 13 წლის ვიყავი. ლინდა მენატრებოდა, სულ ვტიროდი. დედაც მენატრებოდა...

— მონასტერში იმიტომ წაყევი, ქუჩაში ცხოვრება არ გინდოდა თუ იესოს შესახებ მისმა ნაამბობმა იმოქმედა შენზე?

— ერთიც და მეორეც... დიდმარხვის ბოლო დღეს, ტაძარში 4 ქალი მონაზვნად უნდა აღეკვეცათ. წინამძღვარს ვთხოვე და რიტუალზე დასწრების უფლება მომცა. იცით, როგორ იმოქმედა ჩემზე იმ საღამომ? ბევრი ვიტირე, თითქოს ხელახლა დავიბადე... გადავწყვიტე ქრისტიანად მოვნათლულიყავი. მონაზვნობაც მინდოდა. მოძღვარმა შავი ტანსაცმელი ჩამაცვა, მაგრამ მითხრა, მონაზვნობა ადრეა, ჯერ პატარა ხარო. მერე ყველაფერი შეიცვალა — მონასტრის ეზოში ყვავილებს ვრგავდი, უცხო ბიჭმა მკითხა, მამა იოსებს სად ვიპოვიო. შევხედე თუ არა, შემიყვარდა. გიორგი ჩვენ მეზობლად ცხოვრობდა, ჯარიდან ახალჩამოსული იყო. ბევრ სტუმარს მოვწონდი. მღვდელს ერთმა მდიდარმა კაცმა უთხრა, რომ გაიზრდება ცოლად გამატანეო, მაგრამ ვამბობდი, არ გავთხოვდები, მონაზონი უნდა გავხდე-მეთქი. გიორგისაც მოვეწონე. გადამიბრუნა ტვინი და ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ. დედამისი თავს იკლავდა, არ უნდოდა, მის შვილს ცოლად მოვეყვანე. მაინც გავიპარეთ და ჯვარი დავიწერეთ. ჩემი ქმარი ელექტრიკოსად მუშაობდა, ერთ წელიწადში გოგო შეგვეძინა... შარშან, ზამთარში, გიორგი სოფელში წავიდა დედის სანახავად და ჩვენთან აღარ დაბრუნებულა. ერთხელ დამირეკა, ჩემი ტელეფონი არ იჭერს და სულ გამორთული მაქვსო. მერე გავიგე, ცოლი მოუყვანია. მიგვატოვა მე და თამარი, უპატრონოდ, ამჯერად ჩვილთან ერთად დავრჩი. კიდევ ერთხელ გამაგდეს ბინიდან, დანგრეულ შენობას ვაფარებდით თავს. რომ არ გაყინულიყო, გულზე ვიხუტებდი. პატარა თითები სულ ცივი ჰქონდა... გადავწყვიტე, კარდაკარ მევლო დახმარების სათხოვნელად, პირველად, საჭმლის ფული რომ მოვაგროვე, ბედნიერი ვიყავი... ერთი ოთახიც ვიქირავე... მერე თამარი რომ დამძიმდა, ბავშვით სიარული გამიჭირდა და ქუჩაში დავდექი. დილით ადრე ვდგები, რომ კარგი ადგილი დავიკავო. მერე ქურთები გავიცანი და ახლა ბინას ერთად ვქირაობთ...

— გიორგიმ შვილი მიატოვა. სასამართლოსთვის არ მიგიმართავს?

— გიორგი გამოჩნდა რამდენიმე თვის წინ. ახლა ცოტას გვეხმარება. უკვე ორი ოჯახი ჰყავს შესანახი. ვუყვარვარ, ვერ დამივიწყა. მეც მიყვარს...

— თურქეთში დაბრუნებაზე არ გიფიქრია?

— იქ რა მინდა? თან საბუთები და პასპორტი არ მაქვს. თურქულიც აღარ მახსოვს კარგად... ლინდა მენატრება ძალიან, მაგრამ არ ვიცი, სად ან როგორ ვნახო. მისი გვარიც კი არ ვიცი. ადრე რომ ვცხოვრობდით, იმ უბანში ხშირად დავდივარ, იმედით, იქნებ გამოუშვან ციხიდან და სადმე შემხვდეს. ძალიან გაუხარდება ჩემი შვილის გაცნობა...

— ამბობენ, რუსთაველის გამზირზე ბავშვებს ქუჩაში ყუთებში სძინავთო... იცნობ მათ?

— ის სხვა „სასტავია“. ცოტა ქვემოთ „მუშაობენ“...

გადავწყვიტე, გამეგო, რა ხდებოდა „ქვემოთ“. პატარა „მაწანწალების“ ძებნაში 10 წლამდე გოგოს გადავაწყდი. ცალ ხელში მძინარე თოთო ბავშვი ეჭირა, მეორეთი ფენოვან ხაჭაპურს ჭამდა. კითხვებს ცოტა შეშინებული პასუხობდა, სახელი არ გაამხილა, თუმცა საკუთარი ოჯახის მიმართ პროტესტი არ დამალა.

— ავტობუსით თუ ვერ მოვასწრებთ სახლში წასვლას, აქ ვრჩებით და მუყაოს ყუთებში ვიძინებთ. დედას სულ ვეჩხუბები, ტაქსით წაგვიყვანე, გაიყინებიან ჩემი დები და ძმებიმეთქი. ეს ქალი აღარაფერს მიჯერებს. დედასა და დეიდას ყოველდღე იცი, კიდევ რაზე ვეჩხუბები? პატარებს ბალახების ნახარშს ასმევენ და სულ სძინავთ ან გაბრუებულები არიან. მე ვიცი, რომ არ შეიძლება ასეთი რაღაცების დალევა. ერთხელ მეზობელი უყვიროდა დედას, მაგ ბავშვს დაადებილებო.

— სად ცხოვრობთ?

— ვაგონში. ზამთარში, 7 ბავშვს ერთად გვძინავს. ღამით, გაყინულები ერთმანეთს ვათბობთ, ძალიან გვცივა... ზაფხული მაგარია, ხან არ „ვმუშაობთ“ და ვერთობით, ვწუწაობთ. მიყვარს წყალი, იცი, როგორ მინდა „ბასეინზე“ ვიცურაო, არ ვარ ნამყოფი, შენ ყოფილხარ „ბასეინზე“? — **მკითხა და დიდი, ლამაზი თვალები შემომანათა. ლამის ავტირდი... ყელში გაჩხერილი უზარმაზარი ბურთი ძლივს რომ გადავყლაპე, არა-მეთქი, უნებურად ვუპასუხე. პირველად ცხოვრებაში, მომინდა საცურაო აუზი თვალით არ მქონოდა ნანახი... უცებ ხალისიანად გააგრძელა საუბარი,** — აი, მე კი, ამ ზაფხულს ფულს შევაგროვებ, ლამაზ „კუპალნიკს“ ვიყიდი, წავალ და ბევრს ვიცურავებ... ექიმი გამოვალ და ისეთ წამალს გამოვიგონებ, ბავშვებს დასაძინებლად რომ დაალევინებენ, არ დაადებილოს. ბევრი, ათასი კაბა და ფეხსაცმელი მექნება... ჩემ ძმებს მანქანები უნდათ. მე სულ ტაქსებით ვივლი და ყოველდღე სხვადასხვა კაბას ჩავიცვამ...

გოგონამ საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა. წამოხტა და ჩვილი ბავშვით ხელში, ისე სწრაფად გაიქცა, შემეშინდა, არ წაქცეულიყო. ეს ორი გოგონა გამონაკლისი იყო — სხვებს, საუბრისა და გულისგადაშლის სურვილიც კი არ გასჩენიათ. ამის არც დრო ჰქონდათ, არც პირობები და არც განწყობა — პატარა მაწანწალების მთავარი საფიქრალი ლუკმაპურის შოვნაა. მათ ყოველდღე ქუჩაში უწევთ ბრძოლა გადარჩენისთვის და მხოლოდ ღამით, როცა სიცივე და ნახევრადმშიერი კუჭი არ აძინებთ, ოცნებობენ, რა პროფესიას აირჩევენ, როგორ მანქანას იყიდიან, რამდენი კაბა ექნებათ და როგორ იცურავებენ აუზში...

მთავრობამ „გადაგვაგდო“!

რეპორტაჟი ჯანდაცვის სამინისტროს მისაღებიდან

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მისაღებში, ჩვეული ხალხმრავლობა დაგვხვდა... სოციალურად დაუცველი ადამიანები სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსთან, ნოე ქინქლაძესთან შესვლას უშედეგოდ ელოდნენ. უსახლკაროებისთვის მთავარი პრობლემა ბინის დასაქირავებელი თანხის არქონაა. შეკრებილთაგან, განსაკუთრებულ პროტესტს ლურჯთავსაფრიანი ქალბატონი გამოთქვამდა. როცა შეიტყო, ჟურნალისტი ვიყავი, თავისი პრობლემის შესახებ გულახდილად მიამბო:

— ჩვენ ვართ სოციალურად დაუცველი, უსახლკარო ადამიანები. ჯანდაცვის სამინისტრო 6 თვე გვიხდიდა ბინის ქირას, მერე სამინისტრომ და მთავრობამ „გადაგვაგდო“. თვითმმართველობებმა გადაგიხადონ ბინის ქირაო, — გვითხრეს. გლდანის გამგეობაში, ნოდარ სანდუხაძე და მისი მოადგილე ვიტალი გოგუაძე, დამეხმარნენ, დახმარებაზე უარი არც ისნის გამგებლის მოადგილე ბესო კვიციანს უთქვამს. კრწანისის რაიონის გამგებელმა ხათუნა ბერძენიშვილმა კი, მრავალშვილიანი დედა გამოაგდო კაბინეტიდან. ქეთინო, სად ხარ, — **გასძახა ახალგაზრდა ქალს ჩემმა რესპონდენტმა და ჩვენთან იხმო.**

ქეთინო, რომელსაც ხელში ახალგაღვიძებული ბავშვი ეჭირა, შემოგვიერთდა და საუბარში ჩაერთო:

— 3 მცირეწლოვანი შვილი და უმუშევარი, ავადმყოფი ქმარი მყავს. ქირის გადახდა ძალიან მიჭირს — 150 ლარი ჩემთვის ძალიან ბევრია... ბავშვებს, ხილი და კანფეტი ენატრებათ. ვყიდულობ პურსა და ელემენტარულ საჭმელს... განცხადება მქონდა დაწერილი ირაკლი შიხიაშვილთან, მან ხათუნა ბერძენიშვილთან გამგზავნა, რომელმაც მომთხოვა, ბინის მეპატრონე მომიყვანე, საბუთებს ხელი მოაწეროს და თანხას მას გადავურიცხავო. თანხას ვერ გადაურიცხავს, რადგან ჩემი „ხაზეიკა“ სოციალურად დაუცველი არაა, თან საქართველოში არ ცხოვრობს. ბერძენიშვილი მეუბნება, ბინა შეიცვალეო, გეგონება, ადვილია საცხოვრებლის გამოცვლა. არც არის იმ ტერიტორიაზე მაგ ფასად არაფერი, ის ადგილი მაწყობს, სკოლასთან ახლოა და ბავშვებს ქუჩაც არ აქვთ გადასკვეთი.

— თითქმის ყოველ კვირას შევდივარ შიხიაშვილთან. მოვაბეზრე კაცს თავი, — **არ ცხრებოდა ლურჯთავსაფრიანი ქალბატონი,** — გოგიტა სანიკიძე და შიხიაშვილი რომ არ იყვნენ, სოციალურად დაუცველები შიმშილით დავიხოცებოდით. სოციალური სააგენტოს უფროსი ვინმესთან მისულა, რა გიჭირს, რა გილხინსო, უკითხავს? 8 თვის წინ, ზესტაფონის რაიონში მოხუცი ცოლ-ქმარს მარჩენალი ძროხა დაეღუპა. სოციალური დახმარებაც მოუხსნეს. როცა მოიკითხეს, თანხა ჩვეულებისამებრ რატომ აღარ დაგვერიცხაო, უპასუხეს — არ იდარდოთ, რაღაც გაუგებრობაა, ისევ დაგინიშნავთო, მაგრამ, როგორც თქვენთვის არ დაუნიშნავთ, ისე მათთვის. მას შემდეგ ზესტაფონსა და სოფელს შორის უშედეგოდ დადიან. ბოლოს და ბოლოს, მოგვხედავს ეს მთავრობა თუ არა?!

— მე მაგალითად ბინის ქირასაც მიხდიან, უმადური და უკმაყოფილო არ ვარ ნამდვილად... — **მორიდებით ჩაერია საუბარში იქვე მდგომი შუახნის მანდილოსანი,** — მაგრამ ეს ნაციონალებისდროინდელი გამგეობებია. 3 შვილის დედა ვარ, ონკოლოგიური პრობლემები მაქვს, ხშირად დამხმარებიან, უკმაყოფილო არ ვარ, ჯერჯერობით.

— ფიქრობთ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ვითარება შეიცვლება?

— ჯერ არ ვიცით. თავშესაფარი გვინდა. თუ ეჭვი აქვთ, რომ სადმე მიწა ან სახლი გაგვაჩნია, გადაამოწმონ. ქირას იხდიან, ფულს ხარჯავენ. ამას არ ჯობია, მოგცენ თითო ოთახი? ჩვენც კმაყოფილები ვიქნებით და ეგენიც. ნეტა საკუთარი ქოხი მქონდეს სადმე. დევნილებმა ბინებიც მიიღეს, კომპენსაციებიც... რისთვისაა ჯანმრთელობის სამინისტრო, რას აკეთებს სოციალური სააგენტო, არ ვიცი. ვინმემ მოგვაქციოს ყურადღება!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ბიზნესქაოსი „ფუდმარტში“

როგორ დაისაკუთრა „პოპული“ არჩილ გეგენავამ, რა დანაშაულებრივი ნიშნები იკვეთება „ფუდმარტად“ რებრენდინგის პროცესში და რას ითხოვს სუპერმარკეტების ქსელის დამფუძნებელი ევგენი ფიჩხაია სასამართლოსგან?

თბილისის საქალაქო სასამართლომ „ფუდმარტის“ მფლობელებს უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა აუკრძალა. „პოპულის“ დამფუძნებელმა და 12%-იანი წილის მფლობელმა, ევგენი ფიჩხაიამ სასამართლოს სარჩელით მიმართა და იმ ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოსთხოვა, რომლითაც სუპერმარკეტების ქსელი „პოპულის“ აქტივები „ფუდმარტის“ მფლობელობაში გადავიდა. მეტიც, „პოპულის“ დამფუძნებელი სასამართლოსგან იმ სტატუს-კვოს აღდგენას ითხოვს, რომელიც „პოპულს“ ამ გარიგებამდე ჰქონდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელი, საფუძვლიანად მიიჩნია და დაასკვნა, რომ „ფუდმარტს“ მთელი რიგი ნივთების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა ეკრძალება.

„პოპულის“ დამფუძნებელი და ერთ-ერთი აქციონერი ევგენი ფიჩხაია, კომპანიის ყველა აქტივის „ფუდმარტის“ საკუთრებაში გადასვლას უკანონოდ მიიჩნევს. ფიჩხაია დღემდე ფლობს აქციების 12%-ს, მაგრამ „პოპულის“ აქტივები ისე გადაეცა „ფუდმარტს“, „პოპულის“ დამფუძნებლისთვის არაფერი უკითხავთ. 2001 წელს ევგენი ფიჩხაიამ ქვეყანაში პირველი სუპერმარკეტების ქსელი „პოპული“ დააფუძნა, 2005 წელს 12 მაღაზიის მფლობელმა ფიჩხაიამ, კომპანიაში ახალი საერთაშორისო აქციონერები მიიწვია, თავად კი ქსელის გენერალურ დირექტორად დარჩა. 2010 წელს ქსელი 45 მაღაზიამდე გაიზარდა. „პოპულის“ დამფუძნებელი და უკვე შემცირებული წილის, 15%-ის მფლობელი ფიჩხაია მის მიერვე კომპანიის მართვაში შემოსულმა საერთაშორისო საინვესტიციო ფონდებმა ამ ბიზნესს ჩამოაშორეს.

2012 წელს, საერთაშორისო საინვესტიციო ფონდებმა „პოპულის“ აქციების 88% სუპერმარკეტების ქსელს, კომპანია „იოლს“ მიყიდეს, რომლის ძირითადი აქციონერი SEAF CAUCASUS GROWTH FUND და მისი მმართველი, დანიის მოქალაქე ეზბერნ ემბორგია. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, იგივე კომპანია და დანიის მოქალაქე ემბორგი, „ფუდმარტშიც“ ფიგურირებენ. „ფუდმარტის“ დამფუძნებელი, SEAF CAUCASUS GROWTH-თან ერთად, ნაციონალური მოძრაობის წევრისა და ექსდეპუტატ არჩილ გეგენავას კუთვნილი კომპანია „ფუდსერვისიცაა“.

სს „ფუდმარტი“, SEAF CAUCASUS GROWTH FUND-მა 2013 წლის 7 ნოემბერს დააფუძნა, 12 დეკემბერს კი 30%-იანი წილი „ფუდსერვისს“ გადასცა. 2012 წლის 12 დეკემბერსვე, „ფუდმარტის“ წესდებაში ცვლილება შევიდა, რომლითაც ამ კომპანიაში მეორე დირექტორი ირაკლი კასრაძე დაინიშნა.

საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „ფუდმარტის“ დირექტორი ირაკლი კასრაძე „პოპულის“ აქტივების გასხვისებაში საეჭვო გარიგებებს გამორიცხავს. მისი თქმით, გაკოტრებამდე მისული „პოპული“ სწორედ „ფუდმარტმა“ გადაარჩინა. ირაკლი კასრაძის განცხადებით, ამჟამად „ფუდმარტი“ მოლაპარაკებას მულტინაციონალურ ბრენდ SPAR-თან აწარმოებს.

კონკრეტულად, რას ითხოვს „პოპულის“ დამფუძნებელი და აქციების 12%-იანი წილის მფლობელი ევგენი ფიჩხაია თბილისის საქალაქო სასამართლოსგან? რა საეჭვო დეტალები იკვეთება „პოპულის“ მფლობელ კომპანია „იოლისა“ და „ფუდმარტის“ გარიგებაში? მიმართავს თუ არა ბიზნესმენი საქართველოს მთავარ პროკურატურას? „ვერსია“ ევგენი ფიჩხაიას ადვოკატს, **ლაშა ნოდიას** დაუკავშირდა:

— პროკურატურისთვის არ მიგვიმართავს, რადგან მოწინააღმდეგე მხარეს სამოქალაქო წესით ვედავებით და ზიანის ანაზღაურებასაც ამ წესით ვითხოვთ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მივმართეთ და ამის საფუძველზე, „ფუდმარტის“ ქონება დავაყადაღეთ. შესაძლოა, ამ საქმით პროკურატურაც დაინტერესდეს, მაგრამ არ ვაპირებთ, სარჩელი იქაც შევიტანოთ.

— ბატონო ლაშა, „ფუდმარტისა“ და „პოპულის“ გარიგების რა ნაწილში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაული?

— არ მითქვამს, რომ სისხლის სამართლის ნიშნები იკვეთება, მაგრამ „პოპულს“ განაცხადი ჰქონდა შეტანილი ვალების გადახდის უუნარობაზე. იმის გამო, რომ კომპანიას ვალი აქვს და ვალდებულებებს ვერ ისტუმრებს, გადახდის უუნარობის პროცესი აუცილებლად უნდა დაიწყოს. თუ ამ პროცესს არ იწყებს და ხელოვნურად, ობიექტური მიზეზების გარეშე აჭიანურებს, ასეთი ქმედებისთვის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია სპეციალური მუხლი, რომლითაც კომპანიის დირექტორს პასუხისმგებლობა ეკისრება. ბევრი კითხვა ჩნდება, რადგან „პოპულს“ უამრავი ვალდებულება დარჩა, აქტივები სხვა კომპანიის საკუთრებაში გადავიდა და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ერთ-ერთ დამფუძნებელს, ევგენი ფიჩხაიას ხელში სწორედ ასეთი კომპანია შერჩა, რომელთანაც მთლიანი აქტივების გადაცემის საკითხი არავის შეუთანხმებია. შესაძლოა, სწორედ აქ იყოს ისეთი ნიშნები, რომლითაც პროკურატურა დაინტერესდება, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, არ ვაპირებთ, მივმართოთ და ეს ევგენი ფიჩხაიას პოზიციაა.

— რა მექანიზმით გაასხვისა „იოლმა“ „პოპულის“ აქციები?

— როდესაც „პოპულის“ აქციათა პაკეტი, „იოლის“ სუპერმარკეტების ქსელმა შეიძინა, მყიდველს კანონი ავალდებულებდა, ევგენი ფიჩხაიასთვის წილის გამოსყიდვა შეეთავაზებინა ანუ სავალდებულო სატენდერო შეთავაზება უნდა გაეკეთებინა. „იოლის“ წარმომადგენლებმა ასეთი შეთავაზება გააკეთეს, მაგრამ ევგენი ფიჩხაიამ ფასი სადავო გახადა. ამის შემდეგ, „იოლის“ წარმომადგენელი ფიჩხაიას დაპირდა, აუდიტორულ შეფასებას ჩაატარებდა და შედეგებს შეატყობინებდა. კანონის მიხედვით, ვიდრე სავალდებულო სატენდერო შეთავაზება არ დასრულდება, აქციონერს უფლება არ აქვს, წილის გასხვისების დროს, 50%-ზე მეტი ხმა გამოიყენოს. შესაბამისად, „იოლის“ წარმომადგენლებს უფლება არ ჰქონდათ, ცალმხრივად მიეღოთ კომპანიის აქტივების გაყიდვის გადაწყვეტილება, რადგან 50%-ზე მეტი ხმა არ ჰქონდათ, არადა, დოკუმენტებში დაფიქსირებულია, რომ ხმათა 87%-ით ისარგებლეს. სწორედ ესაა სადავო მომენტი, რადგან თუკი 50%-ზე მეტი ხმა არ გაქვს, ამ ტიპის გადაწყვეტილება სხვა აქციონერთა მონაწილეობით ჩატარებულ კრებაზე უნდა მიღებულიყო.

— SEAF CAUCASUS GROWTH FUND „იოლისა“ და „ფუდმარტის“ აქციონერია, რა კავშირშია ეს საერთაშორისო კომპანია ამ გარიგებასთან?

— უშუალო კავშირშია, რადგან „პოპულისა“ და „ფუდმარტის“ გარიგებას ხელი მხოლოდ „ფუდმარტის“ დირექტორებმა მოაწერეს. მართალია, „ფუდმარტის“ დირექტორს „პოპულის“ ხელმძღვანელის მინდობილობა ჰქონდა, მაგრამ გარიგებაზე ხელს მაინც „ფუდმარტის“ ორი დირექტორი აწერს. ეს ფონდი „იოლის“ აქციების მნიშვნელოვან წილს ფლობს, რომელიც „ფუდმარტის“ 70%-იან აქტივებსაც მართავდა. ბუნებრივია, „იოლისა“ და „ფუდმარტის“ დირექტორები ისე ვერ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, SEAF CAUCASUS GROWTH FUND-ის წარმომადგენლის თანხმობა არ ჰქონოდათ. ფაქტობრივად, ამ გარიგებით, „პოპულის“ აქტივები ვალებისგან თავისუფალ, ახალ კომპანიაზე გადაიტანეს და ამის შემდეგ, „პოპულის“ მოვალეებთან მოლაპარაკებები დაიწყეს. რეალურად, „პოპულის“ კრედიტორებს ხელში შერჩათ კომპანია, რომელსაც აქტივები აღარ აქვს, მაგრამ „ფუდმარტის“ ხელმძღვანელობამ, გარკვეული დისკონტით (ფასდაკლება, ანუ აქტივის ნომინალური ფასის დაკლება, — ავტ.) ვალის გასტუმრება შესთავაზა. ბუნებრივია, კრედიტორების უმრავლესობა იძულებული იყო, ამ წინადადებას დათანხმებოდა და ვალების დაფარვასთან დაკავშირებით, სხვადასხვა დისკონტით, შეთანხმებები გაეფორმებინათ.

— კრედიტორების გარდა, „პოპულს“ მიმწოდებლებისა და დისტრიბუტორების ვალიც დაუგროვდა, „ფუდმარტის“ დირექტორებმა ვალის გასტუმრება დაიწყეს?

— „ფუდმარტის“, „პოპულისა“ და „იოლის“ წარმომადგენლებისგან წერილობითი ინფორმაცია გამოვითხოვეთ, როგორ შედგა გარიგება და დაიწყო თუ არა ვალის გასტუმრების პროცესი. სრული ინფორმაცია ჯერ არ გვაქვს, მაგრამ რამდენიმე მიმწოდებელს გავესაუბრეთ და როგორც შევიტყვეთ, ვალების 70%-იან დისკონტირებაზე ორთვიან ხელშეკრულებებს უფორმებენ. „ფუდმარტის“ დირექტორები სხვადასხვა მიმწოდებელთან, სხვადასხვა ტიპის მოლაპარაკებას აწარმოებენ და აქედან გამომდინარე, სრულყოფილი ინფორმაცია არ გვაქვს.

— რა იქნება თქვენი შემდგომი ნაბიჯი?

— სასამართლო დავის დაწყების მიზანი იმ სტატუს-კვოს აღდგენაა, რაც გარიგების განხორციელებამდე იყო. გარდა ამისა, „პოპულმა“ უნდა დაიწყოს გადახდისუუნარობის პროცესი, რათა ყველა კრედიტორი, მიმწოდებელი და დისტრიბუტორი თანაბარ პირობებში ჩადგეს და მათი ვალდებულებები სამართლიანად დაკმაყოფილდეს. „პოპულს“ აქვს შანსი, აწარმოოს ბიზნესი, ზუსტად ისეთივე შანსი, რაც „ფუდმარტს“ ჰქონდა მაშინ, როდესაც „იოლის“ ხელმძღვანელობამ „პოპულის“ აქტივები გადასცა. თუ „ფუდმარტის“ ხელმძღვანელობას სურვილი ჰქონდა, კომპანიაში დამატებითი ინვესტიცია განეხორციელებინა, იგივეს „პოპულშიც“ გააკეთებდა. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორები თანაბარ პირობებში ჩადგებოდნენ და იძულებული არ გახდებოდნენ, ვალი გარკვეული პირობების საფუძველზე, დისკონტირებით დაბრუნებოდათ.

— სტატუს-კვოს აღდგენა რას ნიშნავს — ევგენი ფიჩხაია ისევ სუპერმარკეტების ქსელის დირექტორი გახდება და „ფუდმატს“ „პოპული“ დაერქმევა?

— ჩვენი მიზანია, „იოლისა“ და „ფუდმარტის“ დირექტორებს შორის გაფორმებული გარიგების ბათილობას მივაღწიოთ და „პოპულს“ თავის აქტივები დაუბრუნდეს. ევგენი ფიჩხაია დირექტორის პოსტზე ვერ აღდგება, რადგან ეს უკვე სხვა სახის დავაა. ზოგადად, ფიჩხაიას მიზანია, „ფუდმარტის“ დირექტორმა „პოპულის“ გადახდისუუნარობის პროცესი დაიწყოს, რათა კომპანიამ შეინარჩუნოს საკუთარი აქტივები და კრედიტორების, მიმწოდებლებისა თუ დისტრიბუტორების ვალების გასტუმრების საკითხიც სამართლებრივ ჭრილში გადავიდეს.

— თქვენი ინფორმაციით, რა ინტერესი აქვს ექსდეპუტატ არჩილ გეგენავას ამ გარიგებაში?

— ალბათ, ასეთი შეფასება გადაჭარბებულია. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, ვერაფერს გეტყვით.

ვერსიანიუსი



თომას ჰამერბერგი: „ბიზნესისთვის საკუთრების ჩამორთმევის კონკრეტული ფაქტები შესასწავლია“

ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოს მთავრობისთვის საკონსტიტუციო, სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამერბერგი აცხადებს, რომ ბიზნესისთვის საკუთრების ჩამორთმევის კონკრეტული ფაქტები შესასწავლია.

მისი განმარტებით, საქმე ეხება ყოფილი ხელისუფლების დროს მომხდარ ფაქტებს და, რადგან მათი საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა, პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

ბიზნესის, სამართლის სფეროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემები, მათ შორის, წარსულში საკუთრების ჩამორთმევის ფაქტები განიხილეს. შეხვედრის ორგანიზატორმა, ფონდმა „კრისტალმა“ გაავრცელა განცხადება, რომლითაც აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას, ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებას მიმართავს.

ფონდი გამოდის ინიციატივით, გაიზარდოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება ან ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტს დაექვემდებაროს. გარდა ამისა, მათი ინიციატივაა, ბიზნესის ერთობლივი და კოორდინირებული ძალისხმევით, სამართლის უზენაესობის დამკვიდრების მოთხოვნით, გრძელვადიანი, გამჭვირვალე, აპოლიტიკური კამპანიის წარმოება: **„მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, ყველა შესაძლო მექანიზმი წაახალისოს და დაეხმაროს საქართველოს ხელისუფლებას, დამოკრატიზაციისა და მმართველობის რეფორმის პროცესში, მხარი დაუჭიროს ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით საგამოძიებო კომისიის საქმიანობას, რომელიც შეეხება ბიზნესში ჩარევისა და საკუთრების უფლების ხელყოფის შემთხვევებს. დააზუსტოს გზავნილები, რომელიც ეხება მთავრობის პოლიტიკის მომავალზე ორიენტაციის აუცილებლობას, კრიტიკულად შეაფასოს სასამართლო ხელისუფლების ამჟამინდელი მდგომარეობა და მიიღოს მხედველობაში ფართო საზოგადოების ნდობის ხარისხი მათ მიმართ. მოუწოდოს სასამართლო ხელისუფლებას საზოგადოების წინაშე მეტი ანგარიშვალდებულებისკენ“.**

„ინტერპრესნიუსი“

ვატიკანი ბიბლიოთეკას გააციფრულებს

ამიერიდან, ვატიკანის ბიბლიოთეკის ოფიციალური გვერდის ყველა მომხმარებელი შეძლებს, სრულიად უფასოდ ნახოს ვატიკანის ისტორიული დოკუმენტები და ამ მიზნის განხორციელებაში თეოკრატიულ მონარქიას იაპონური კომპანია NTT Data დაეხმარება, რაცკომპანიას დაახლოებით 20 მილიონი დოლარი დაუჯდება. რამდენიმე წლის განმავლობაში გულდასმით დასკანირდება 82 ათასი უძველესი მანუსკრიპტი, რომელთა შორის იქნება კლასიკური ბერძნული, ლათინური, შუასაუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის ცნობილი ნამუშევრები. პროექტის მთავარი მიზანია, ყველამ და მათ შორის ჩვენმა შთამომავლებმაც გაიგონ მეტი უძველესი მეცნიერების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებისა თუ შემოქმედების შესახებ. ამ გზით არასოდეს მიეცემა დავიწყებას ისტორიის ეს მეტად ღირებული და უნიკალური ნაწილი.

ნიუ იორკს „კექსის ბანკომატი" შეემატა

აშშ-ს მეგაპოლისში მცხოვრებ ტკბილეულის მოყვარულებს ახლა შეეძლებათ, დღეღამის ნებისმიერ დროს ჩაიტკბარუნონ პირი — ნიუ იორკში „კექსის ბანკომატი" დადგეს, რომელიც ფულის ასაღებ ჩვეულებრივ მოწყობილობას ჰგავს, მაგრამ ვარდისფერია და ბანკნოტის ნაცვლად, რა თქმა უნდა, ნამცხვრებს იძლევა. პირველი ასეთი „ბანკომატი" კომპანიამ Sprinkles Cupcakes უკვე დადგა 2012 წელს, ლოს-ანჯელესში, ბევერლი-ჰილზზე, ნიუ იორკის „კექსის ბანკომატი" კი აშშ-ში რიგით უკვე მეხუთეა. როგორც ფირმის მენეჯერი აცხადებს, „ბანკომატის" შექმნის იდეა კომპანიის ერთ-ერთ დამფუძნებელს გაუჩნდა, რომელიც ფეხმძიმედ იყო და შუაღამისას ტკბილეული მოუნდა. საცხობისა და საკონდიტრო მაღაზიის მფლობელი ვარ, მაგრამ ახლა საიდან მოვიტანო კექსი? — იფიქრა მან და უცებ იდეაც დაიბადა — სავაჭრო ავტომატი სენსორული ეკრანითა და ტერმინალითაა აღჭურვილი, რომლითაც საბანკო ბარათის განაღდება ხდება. 24 საათის განმავლობაში „ბანკომატი" კლიენტებს ისეთივე ასორტიმენტის კექსს სთავაზობს, როგორსაც ამავე კომპანიის მაღაზიაში შეიძენდნენ. ავტომატი დღეში 12-16 სახეობის დაახლოებით 800 ნამცხვარს ყიდის. ერთ ჯერზე მომხმარებელს ოთხი კექსის შეძენა შეუძლია. ყოველი მათგანი 4,25 დოლარი ღირს. „ბანოკმატი" ოთხფეხა მეგობრებისთვისაც ყიდის ტკბილეულს — ორ უშაქრო მინიკექსს 5 დოლარად.

მოხუცი ქალი ციხეში ჩასვეს

გერმანიაში 71 წლის ქალი გისოსებსმიღმა გაუშვეს იმის გამო, რომ დაახლოებით 13 წლის განმავლობაში კათოლიკე მღვდელს დასდევდა, სასიყვარულო წერილებს უგზავნიდა და გამუდმებით ურეკავდა, სიყვარულში რომ გამოტყდომოდა. პენსიონერი იმდენად იყო შეპყრობილი ამ გრძნობით, რომ რამდენჯერმე გაშიშვლდა კიდეც და სიყვარულის ობიექტისთვის იცეკვა... სასამართლოში ქალმა აღიარა, რომ ათ წელზე მეტია, ყოველდღე მიდიოდა მღვდლის სახლთან და შესასვლელთან ყვავილებს, სასიყვარულო ბართებსა და პრეზერვატივებს ტოვებდა. კითხვაზე, როგორ გაიცნო ეკლესიის წარმომადგენელი, მოხუცმა გერმანელმა უპასუხა, რომ ეს სრულიად შემთხვევით მოხდა 2000 წელს — თითქოს მეხი დამეცა, როცა დავინახე, მაშინ არ ვიცოდი, რომ მღვდელი იყო. ბრალდებულის აღიარების მოსმენის, მოწმეების ჩვენებისა და ექსპერტების დასკვნის შესწავლის შემდეგ მოსამართლემ გადაწყვიტა, ეს გრძნობებმოჭარბებული მოხუცი საკანში გაეგზავნა და ახლა ქალს 14 თვით მოუწევს ციხეში ყოფნა.

სიმაღლემ ციხისკენ იბძინა

დიდ ბრიტანეთში 23 წლის ახალგაზრდა მამაკაცმა შეძლო, თავი აერიდებინა პატიმრობისთვის ფიზიკური მონაცემების წყალობით. სასამართლოს სხდომაზე მოსამართლემ განაცხადა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უბრალოდ, არ აქვთ საჭირო ზომის საწოლი და ციხის ფორმა. ახალგაზრდა ჯუდ მედკალფს კლაინფელტერის სინდრომი აქვს — სიმაღლეში უკვე 2,2 მეტრია და მისი ორგანიზმი ზრდას განაგრძობს, თუმცა გონება მოზარდისას შეესაბამება. შარშან ზაფხულში ახალგაზრდა, რომელიც სათამაშო პისტოლეტითა და დანით იყო „შეიარაღებული", ნაცნობის ავტომობილს დაესხა თავს და შუშა ჩაუმსხვრია, ასევე მეგობარ გოგონას დაემუქრა, რომელიც ინციდენტის თვითმხილველი იყო და პოლიციის გამოძახება სურდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდამ დანაშაული აღიარა, ქალაქ ექსეტერის სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია მისი გისოსებსმიღმა გაგზავნა. მედკალფს ერთი წლით საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოების შესრულება დააკისრეს. გარდა ამისა, ნახევარი წლის განმავლობაში, იძულებული იქნება, კომენდანტის საათს დაემორჩილოს.

ალკოჰოლი ორთქლის სახით

წარმოგიდგენთ Vaportini-ს — ახალი მოწყობილობა შესაძლოა, რევოლუციური მეთოდი აღმოჩნდეს ალკოჰოლის მიღებისას, თუ გსურთ, სპირტიანი სასმელის ეფექტი დააჩქაროთ და კალორიებს აარიდოთ თავი. ეს მოწყობილობა აცხელებს ალკოჰოლს 140 გრადუსამდე (ფარენჰეიტის შკალით), რის შემდეგაც მომხმარებელი სასმელის ორთქლს მასში ჩაშვებული საწრუპი ჩხირით შეისუნთქავს, უცნაური აპარატი კი სულ რაღაც 45 დოლარი ღირს ამერიკულ ინტერნეტ-საიტზე, თუმცა ალკოჰოლის შესუნთქვა არც ისე უწყინარია, როგორც შეიძლება მოგეჩვენოთ. მეცნიერებს არ აქვთ ინფორმაცია, რა გავლენას ახდენს ის ადამიანის ორგანიზმზე, მაგრამ პოტენციურად, ეს უფრო საშიშია და სპეციალისტები ურჩევენ ასეთი თრობის მოყვარულებს, ფრთხილად იყვნენ, თუკი გადაწყვიტეს Vaportini-ის გამოცდა. მით უმეტეს, რომ ორთქლი უშუალოდ ზემოქმედებს ორგანიზმზე. ფსიქიატრებიც აცხადებენ, რომ ალკოჰოლის ორთქლი უფრო საშიშია ტვინისთვის, რადგან არ იფილტრება ღვიძლის მიერ, რაც ზრდის ტვინის უჯრედების დაზიანების რისკს. ასეთი ინჰალაცია ადამიანს იმპულსური, წარმოუდგენელი და საშიში ქცევებისკენ უბიძგებს. გარდა ამისა, Vaportini ცეცხლსაშიშია — ნებისმიერი აალებადი ნივთი, განსაკუთრებით ნასვამი ადამიანის ხელში, შესაძლოა, ხანძრის მიზეზი გახდეს.

ჩინელები სუფთა ჰაერს ჰყიდიან

ჩინეთი ატმოსფეროს დაბინძურების პრობლემის წინაშე რომ დგას, ყველასთვის ცნობილია, აქაურები ცდილობენ, დიდი ქალაქის სმოგს როგორმე თავი დააღწიონ და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქონ, აქედან გამომდინარე, გუანჩჟოუს პროვინციაში მალე ქილაში დაკონსერვებული სუფთა ჰაერის გაყიდვას დაიწყებენ. ჰაერი ფანცზინისა და ლეიგუნს მთებში იქნება მოპოვებული და ადგილობრივების ვარაუდით, ეს მოვლენა ყველაზე მეტად ტურისტებს დააინტერესებს. დღეს კი ქვეყანაში სარეკლამო აქცია მიმდინარეობს, რომელიც მსურველებს მთა ტიანმუს ჰაერის ყიდვას სთავაზობს. როგორც ამბობენ, ამ ტერიტორიაზეა ყველაზე სუფთა ჰაერი ჩინეთში. როგორც ჩანს, ქვეყნის მთავრობა სერიოზულად დაინტერესდა ჰაერის დაბინძურების პრობლემით. დაკონსერვებული სუფთა ჰაერის გაყიდვით დიდ მოგებას ვარაუდობენ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ჰაერის გაყიდვის პირველი შემთხვევა ჩინეთში — შარშან ერთი ქველმოქმედი ჩინელი მამაკაცი უკვე იყო დაკავებული ამ უჩვეულო პროდუქციის რეალიზებით და 10 დღეში სუფთა ჰაერით სავსე 10 მილიონი ქილა გაყიდა.

მოხუცი დივანს გადააყოლეს

კურიოზი მოხდა ისრაელში. ქალაქ პეტახ-ტიკვას ერთ-ერთ ქუჩაზე, სახლიდან დივანი გაიტანეს გადასაგდებად, გამვლელმა მოხუცმა ქალბატონმა კი გადაწყვიტა, ცოტა დაესვენა და დივანზე ჩამოჯდა. ქალაქის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა, რომლებიც ტახტის წასაღებად მივიდნენ, ვერ შეამჩნიეს მასზე ჩამომჯდარი 58 წლის ქალი და მანქანაში ავეჯთან ერთად მოათავსეს. როგორც ჩანს, შეშინებული ქალბატონი ცუდად გახდა, რადგან ინციდენტის ადგილას სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს, დაზარალებულს პირველადი დახმარება გაუწიეს და შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

							1	
				8		4		
9		8	4				7	
8			7	4		3	5	
			3		9			
	7	4		1	5			6
	9				1	6		2
		7		3				
	6							

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		9	3		4	8		
5				2		4		
			1				5	9
	3			6			9	
			8		7			
	2			3			4	
3	7				2			
		2		1				4
		1	4		6	7		

ᲠᲗᲣᲚᲘ

	4	8						
2						4	7	
	5		6	1				
7			8			6		
	2		7		5		1	
		4			3			7
				3	2		4	
	8	3						6
						5	9	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	9		3					
	3			9				
	6	1	2		4			
	8	9			2			1
		7		6		8		
4			8			7	3	
			9		7	3	2	
				2			9	
					1		8	7

წამლებს უნიკალური ადამიანების გენებისგან დაამზადებენ

ბიოფარმაცევტულმა კომპანიამ UCB განაცხადა, რომ განზრახული აქვს, პრეპარატები იმ ადამიანების გენების საფუძველზე შექმნას, რომელთაც უნიკალური თვისებები აქვთ. ფარმაცევტებს მხედველობაში ჰყავთ ის ინდივიდები, ვინც ტკივილის ან ინფექციების მიმართ მეტ სიმტკიცეს იჩენს, სწრაფად აღიდგენენ ჯანმრთელობას ოპერაციის შემდეგ. კომპანია ამჟამად კონკურსს ატარებს იშვიათი ფენოტიპების მქონე კონკრეტული ადამიანების აღსაწერად და კომპანია იმედოვნებს, რომ იპოვიან მათ, ვინც ახალი პრეპარატების შექმნაში დაეხმარება. მოგვიანებით, ამ უნიკალური ადამიანების დნმ-ს შეისწავლიან, მით უმეტეს, რომ ასეთი უნარის მქონე ზოგიერთი ადამიანი უკვე არის ახალი წამლის შექმნის წყარო. მაგალითად, ამჟამად კლინიკურ ცდებს გადის პრეპარატი, რომელიც ბუშმენების (აფრიკული ტომების) სამედიცინო გამოკვლევების საფუძველზე შემუშავდა.

რძე გულისთვის საშიშია?

ძროხის რძე ადამიანის ჯანმრთელობისთვის, შესაძლოა, საკმაოდ სახიფათო იყოს და, როგორც შვედი სწავლულები აცხადებენ, მისი ყოველდღიური ნორმა ორ ფინჯანზე მეტს არ უნდა შეადგენდეს. რძე, კალციუმის შემცველობის გამო, მეტად სასარგებლოდ მიიჩნევა, მაგრამ სწორედ ამ ელემენტს შეუძლია, გულსისხლძარღვთა დაავადებებით გარდაცვალების რისკი გაზარდოს, — ეს მკვლევარებმა სუსტი სქესის წარმომადგენლებზე დაკვირვებით დაამტკიცეს, რომლებიც დღეში საშუალოდ 1,4 ლიტრ რძეს მოიხმარდნენ. ამ სასმელის ჭარბი მოხმარების შემთხვევაში, ორგანიზმი, უბრალოდ, კალციუმის ათვისებას ვერ ასწრებდა, შედეგად წარმოიქმნებოდა ნალექი. კალცის გამო, სისხლძარღვთა ელასტიურობა ქვეითდება და შედეგად გულის დაავადებათა რისკი იზრდება. რძისა და რძის პროდუქტის არასწორი გამოყენების მავნებლობაზე ჰარვარდელი სწავლულებიც ლაპარაკობენ — მათ კვლევა ჩაატარეს, რომლის საფუძველზეც განაცხადეს, რომ თუ რძე შაქარს ან სხვა დამატკბობელ ნივთიერებებს შეიცავს, ის ორგანიზმისთვის მავნეა.

ჩინელები მხოლოდ ქკვიანებს გააჩენენ

ჩინელებმა პროგრამა შეიმუშავეს, რომელიც უახლოეს მომავალში მედიკოსებს საშუალებას მისცემს, ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში დაადგინონ ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობები. ამ ანალიზის ჩასატარებლად ჩვილის დნმ იქნება საჭირო და ახალი მეთოდით ჩინეთი ერის გენოფონდის გაუმჯობესებას ცდილობს. კვლევის საწყის ეტაპზე სწავლულები განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის დნმ-ის კოდს ჩვეულებრივ გენოტიპს შეადარებენ და სხვაობას შეისწავლიან. ეს მეთოდი მომავალში ემბრიონის ანალიზისთვის დაინერგება, რომელიც ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებს დაბადებამდე დაადგენს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ანალიზი 60%-იანი სიზუსტის გარანტიას იძლევა და იმედოვნებენ, რომ გენოფონდის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი პროგრამა ქვეყნის დემოგრაფიულ პოლიტიკას შეცვლის.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	3	5	2	1	9	4	8	7
1	4	2	8	5	7	9	6	3
9	8	7	6	4	3	5	2	1
7	9	3	4	2	8	1	5	6
5	1	8	3	9	6	2	7	4
4	2	6	1	7	5	3	9	8
8	6	1	9	3	2	7	4	5
2	7	4	5	6	1	8	3	9
3	5	9	7	8	4	6	1	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	8	7	2	4	6	5	3	1
6	4	5	3	1	9	8	7	2
3	2	1	8	7	5	4	6	9
5	7	9	1	8	4	3	2	6
4	3	2	9	6	7	1	5	8
8	1	6	5	3	2	9	4	7
7	9	3	6	5	1	2	8	4
2	6	8	4	9	3	7	1	5
1	5	4	7	2	8	6	9	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	4	3	7	8	5	2	1	9
2	1	5	9	6	4	8	3	7
7	9	8	3	1	2	6	5	4
8	7	6	5	2	3	4	9	1
9	5	4	1	7	8	3	2	6
3	2	1	6	4	9	7	8	5
5	8	7	4	3	1	9	6	2
1	6	2	8	9	7	5	4	3
4	3	9	2	5	6	1	7	8

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	6	4	3	2	1	9	8	7
8	9	3	4	7	6	5	2	1
7	2	1	5	9	8	6	4	3
6	4	5	1	8	9	7	3	2
3	1	2	7	5	4	8	9	6
9	8	7	6	3	2	4	1	5
4	5	9	2	1	7	3	6	8
2	3	8	9	6	5	1	7	4
1	7	6	8	4	3	2	5	9

მე-12 გვერდი: 1. არაგვი; 2. რაუტი; 3. გეიშა; 4. სლენგი; 5. ლაქია; 6. ნუარე; 7. დუმილი; 8. ქედანი; 9. რერიხი; 10. ოქტავა; 11. მასკარადი; 12. არე; 13. „წიქარა“; 14. ანდერძი; 15. ებანი; 16. ალიზი; 17. ცამეტი; 18. ლამა; 19. ტინი; 20. იფანი; 21. მენდელსონი; 22. აბი; 23. შვედეთი; 24. მეტიუ მაკკონაჰი; 25. ნიუტონი; 26. რძე; 27. ტლუ; 28. ომარ; 29. ბისკაი; 30. ვენახში; 31. ტვინი; 32. რიელი; 33. ხვნა; 34. ამოკი; 35. ერიტრეა; 36. ტირი; 37. ტაფარელი; 38. ფოიე; 39. კიკბოქსინგი; 40. ასო; 41. იობი; 42. ედო; 43. კურო; 44. სერსო; 45. სოლ; 46. ზმა; 47. ბრემ; 48. მეი; 49. ეირე; 50. დეკანი; 51. პაბი; 52. „ქვინი“; 53. ბრაუნაუ; 54. ოკა; 55. ლაზათი; 56. პკე; 57. ტილდა; 58. ქსენონი; 59. ალფრედი; 60. ნიტი; 61. „ბმვ“; 62. სალტე; 63. ტრალი; 64. „დინამო“; 65. კირიბატი; 66. რობინია; 67. კაი; 68. ვექილი; 69. ნო; 70. ფრაუ; 71. „ანჟი“; 72. ვისტი; 73. კიი; 74. ეჩო; 75. ილია; 76. სპიკა; 77. ბალ; 78. ნორა; 79. პელე; 80. ბჰუტანი; 81. რუ; 82. მოპიუ; 83. ლისი; 84. ტანი; 85. უბე; 86. ნადი; 87. ამაო; 88. ოლბია; 89. ქსუ; 90. გირჩა; 91. ლოუ.

სიმსუქნის ნამდვილი მიზეზი დაადგინეს



დანიელი სწავლულები დარწმუნებულნი არიან, რომ ნახშირმჟავა აირი მსოფლიოში სიმსუქნის ეპიდემიის მთავარი მიზეზია. აშშ-ში ადამიანები ინტენსიურად სუქდებოდნენ 1986-2010 წლებში, ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც ნახშირმჟავა გაზის ყველაზე დიდი კონცენტრაცია იყო დაფიქსირებული. ცხოველებზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად გამოვლინდა კავშირი ამ აირსა და ზედმეტ წონას შორის. ორექსინები — ჰორმონები, რომლებიც პასუხისმგებელია ენერგეტიკულ ხარჯზე, სიფხიზლესა და მადის სტიმულირებაზე, ნახშირმჟავა გაზის მავნე ზეგავლენას განიცდის. შედეგად ადამიანი გვიან იძინებს, მეტაბოლური პროცესები ირღვევა, ამ ყველაფრის შედეგი კი ჭარბი წონაა.



საათი 55 მილიონ დოლარად

ბაზელში ძვირფასეულობის ბაზრობაზე, ყველაზე მეტი მნახველი ცნობილი ლონდონური ფირმა Graff-ის პავილიონს ჰყავდა. გამოფენა-ბაზრობაზე მისულების ყურადღება მიქცია Graff Hallucination-მა — საათმა, რომელიც მსოფლიოში ცნობილი კომპანიის იუველირებმა შექმნეს და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ „დრო ფულია“ — ეს ნახელავი 55 მილიონი დოლარი ღირს, რომლის შექმნაზე რამდენიმე გამოცდილი იუველირი ათასი საათის განმავლობაში მუშაობდა. საათის ასეთი მაღალი ფასი იმით აიხსნება, რომ მეტად იშვიათი, ფერადი ალმასებითაა შემკული, რომელთა საერთო წონა 110 კარატია. გასაკვირი არ არის, რომ ფირმის დამაარსებელმა და მფლობელმა ლოურენს გრაფმა საათს „სკულპტურული შედევრი“ უწოდა.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ხილი და ტემპერამენტი

ამერიკელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლის ხასიათისა და სექსუალური ტემპერამენტის შესახებ წარმოდგენას მისი საყვარელი ხილი შეგიქმნით: თუ ქალს ვაშლი უყვარს, მოკლებულია რომანტიკას და ამ ნაყოფივით მტკიცე ხასიათი აქვს, თუმცა ასეთი მანდილოსანი ურთიერთობაში საიმედოა;

გიყვართ ფორთოხალი? — მორცხვი და ჩაკეტილი ადამიანი ხართ, თუმცა კაცებს სწორედ ამოუცნობი ხასიათით იზიდავთ. სწავლულები ამბობენ, რომ ასეთი ქალი შემოქმედებითი პიროვნებაა და იუმორის გრძნობაც აქვს.

მარწყვის მოყვარული ქალბატონები შარმიანები არიან, მსხლის მოყვარული ქალები კი მაცდუნებლები, მეტად ქალურები და ეფექტურები; უყვართ მამაკაცების ყურადღების ცენტრში ყოფნა და სურთ, ხელისგულზე ატარონ.

სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, იმ მანდილოსნებს, ვინც უპირატესობას ყურძენს ანიჭებს, მარტოობის ეშინიათ, ბანანის მოყვარულები ფაქიზი სულის პატრონები არიან და ხშირად არ პატიობენ მამაკაცს, თუკი ნაკლზე მიუთითებს.

ანანასს სუსტი სქესის ის წარმომადგენელი ირჩევს, ვისაც უყვარს ინტიმურ ურთიერთობებში ინიციატივის გამოჩენა, მოსწონს ვნებიანი და მოულოდნელი სექსი. ასეთ ქალებს ურჩევნიათ, თავად „მოიპოვონ“ სასურველი მამაკაცი.

ატმის მოყვარულებს მოსწონთ ექსპერიმენტები, მაგრამ მხოლოდ ერთგულ პარტნიორთან; ალუბლის მოყვარული ქალი ამოუცნობია და უყვარს სიურპრიზები.

მშვენიერი სქესის წარმომადგენელი, თუ საზამთრო ან ნესვი უყვარს, ირგვლივ ადვილად ქმნის კომფორტულს და სანდო ურთიერთობას აყალიბებს. ასეთ ქალებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ სხვაზე ზრუნვა და მამაკაცებსაც ხშირად „დედიკოსავით“ ექცევიან.

ბროწეულის მოყვარული ქალი ოპტიმისტია და შეუძლია ცხოვრებაში ყველა მინუსი პლუსად აქციოს. იგი საკმაოდ ენერგიულია და უზარმაზარი პოტენციალი აქვს.

ვინც ქლიავს ანიჭებს უპირატესობას, მტკიცე და დამოუკიდებელი თვისებებით გამოირჩევა, უყვარს თავისუფლება, თუმცა მამაკაცებსაც ძლიერ იზიდავს და ზრუნვას არ აკლებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.